ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „ფრანკო“ — 8 ლარი 4-დან 18 აპრილამდე

18 აპრილის შემდეგ „ფრანკოს“ ფასი 12 ლარი გახდება




ორშაბათი, 4 აპრილი, 2011 №79 (5460) ფასი: 30 თეთრი

# ისრაელი აფხაზეთის აღიარებას აპირებს?!

სეპარატისტების გასაიდუმლოებული ვიზიტი აღთქმულ ქვეყანაში გვ.5



## ხელისუფლებას უკან მხოლოდ აქციებით დავახევინებთ!

საკაშვილის გამო საერთაშორისო ასპარეზზე პრობლემები გვექმნება

გვ.2



გვ.8

## რა გაფრთხილებები მიიღეს მინისტრებმა

სუბელიანი ყველაზე მატყუარაა

## ილია მეორე: ადამიანი, რომელიც ბოროტებას აკეთებს, ჯოჯოხეთს იმზადებს

გვ.3



## პატიმრები პნევმონიითა და პერიტონიტით იხოცებიან

გვ.7



არსად გამიგია, პარლამენტი სახალხო დამცველისგან თავს იცავდეს!



გვ.6

## ირაკლი ოქრუაშვილთან თანამშრომლობას არ ვაპირებთ!

რა ქორებს უვრცელებენ გიორგა ის მომხრეებს

## „ვაშინგტონ პოსტი“: შეერთებული შტატები საკუთარ მეგობრებს კარგად არ ეპყრობა

გვ.3

## მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციური „რეიანის“ მოთხოვნას მიუღებლად მიიჩნევს



გვ.2



გვ.4

## რა შეცდომა დაუშვა საქართველომ ჰააგაში



## ოპოზიცია გაერთიანების გარეშე მიზანს ვერ მიაღწევს

გვ.4

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**5** არასამთავრობოები ზონდერების მხილებას იწყებენ

**14** უგოლო ელ-კლასიკო და განაწყენებული ზესტაფონი

**7** რუსეთის კონფლიქტის მხარედ გამოცხადება გამარჯვებად ვერ ჩაითვლება

**9** რას დაუპირისპირებს სოხუმი მოსკოვს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხელისუფლებას უკან მხოლოდ აქციებით დავახევინებთ!

## სააკაშვილის გამო საერთაშორისო ასპარეზზე პრობლემები გვექმნება



ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ სახალხო კრების ერთ-ერთ ლიდერ ირაკლი ბათიაშვილთან

*— ბატონო ირაკლი, დღეს საზოგადოების დიდი ნაწილის აზრი ასეთია, რომ დღეს თუ ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში არ გაერთიანდა, ისე ამ ხელისუფლების დამარცხების შანსიც კი არ არისო. რას ფიქრობთ თქვენ ამ ყველაფერთან დაკავშირებით, რამდენად არის სერიოზული დაპირისპირება ოპოზიციურ ძალებში?*

— მე სანამ თქვენ კითხვას ვუპასუხებ, არ შემიძლია ღრმა მწუხარებით და შეშფოთებით არ აღვნიშნო ის ვითარება, რომელიც ახლახან შეიქმნა საერთაშორისო ასპარესზე საქართველოსათვის. თქვენ ალბათ საქმის კურსში ხართ, რომ ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ უარი გვითხრა სარჩელის განხილვაზე, რომელიც შეტანილი ჰქონდა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, კერძოდ კი ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით. ეს რატომ არის ძალიან შემაშფოთებელი და საგანგაშო მოვლენა, მინდა ძალიან მოკლედ ამას ხაზი გავუსვა. ეს იმიტომ არის ძალიან საგანგაშო ჩვენთვის, რომ კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ საქართველო სააკაშვილის რეჟიმის პირობებში რა დონის მარგინალიზაციას განიცდის საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ უკვე მარგინალიზაციას განვიცდით არა მხოლოდ ევროკავშირის მხრიდან, არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, არამედ უკვე მარგინალიზაციას განვიცდით მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. საერთოდ უარი გვითხრეს სარჩელის განხილვაზე და საერთაშორისო სასამართლომ ფაქტიურად გაეროში თქვა, რომ ეს მათ კომპეტენციაში არ შედის.

*— იგნორირება გაგვიკეთეს?*

— სწორედ რომ ასეა და ეს არის „ სააკაშვილის ყოვლად უგუნური პოლიტიკის შედეგი". ეს არის საშინელი კრახი, სააკაშვილის საგარეო პოლიტიკის და მთელი უბედურება რა არის იცით, რომ ამ მარცხის მწარე შედეგს სააკაშვილი კი არ იმკის, ამის შედეგს ვიმკით ჩვენ, მთლიანად ქართველი ხალხი. ეს სამარცხვინო ლაქა გვეცხობა მთლიანად ჩვენ, საქართველოს. მე მომყავს მაგალითი ყოველდღიურად ჩვენ რა პრობლემების წინაშე, რა უზარმაზარი პრობლემების წინაშე ვდგებით გინდაც საერთაშორისო ასპარეზზე და გინდაც საშინაო ასპარეზზე. აი, ამ უტვინო რეჟიმის პირობებში. ყოველივე ეს ჩვენ კიდევ ერთხელ გვავალდებულებს, არა როგორც პოლიტიკოსებს უბრალოდ, არამედ როგორც მოქალაქეებს, ვიღონოთ ყოველივე, რათა ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. აქ საკითხი აღარა დგას, რომ სააკაშვილი აღარ გვინდა, გადადგეს, ჩვენ უნდა შევასრულოთ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნის წინაშე, რომელიც უნდა ვიხსნათ, აი, ამ არანორმალური მდგომარეობიდან. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა თქმა უნდა, არ არის იოლი მდგომარეობა ოპოზიციაში, საკმაოდ რთული მდგომარეობაა. მე არ ვარ ის ადამიანი, რომ თავი მოვიტყუო, სხვები მოვატყუო, სააკაშვილის და დღევანდელი ხელისუფლების მსგავსად, რომ ყველაფერი კარგად მიდის. რა თქმა უნდა, ოპოზიციაში რთულად არის საქმე, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს სირთულეები არის გადალახვადი. თუკი დაიწყება სერიოზული პროცესი და მე დარწმუნებული ვარ, რომ დაიწყება სერიოზული პროცესი, კერძოდ, ვგულისხმობ პროცესს, რომელიც მიმართული იქნება სწორედ დღევანდელი რეჟიმის დემონტაჟისაკენ, მე ვფიქრობ, საბოლოო ჯამში ეს პროცესი საბოლოო ჯამში, საკმაოდ მნიშვნელოვან ძალებს, ყველას ვერა, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალებს, რომლებსაც ნამდვილად უნდათ ამ რეჟიმის შეცვლა, უნდათ სააკაშვილის გადაყენება და საერთოდ ამ რეჟიმის დემონტაჟი, ეს პროცესი გააერთიანებს ამათ.

*— პოლიტიკოსებმა პიროვნული დაპირისპირებები გვერდზე უნდა გადადონო, თქვენ თუ ეთანხმებით ამას?*

— მე მგონი, ნებისმიერი ადამიანი ეთანხმება ამას, რომ ჩვენ ყველამ პიროვნული დაპირისპირებები გვერდზე გადავდოთ, როდესაც საქმე ეხება დიდ მიზანს, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის გადარჩენას, ქვეყნის ხსნას, როცა საქმე ეხება მართლაც და გადამწყვეტ ბრძოლას.

*— გამოიკვეთა ნიშნები, რომ ოპოზიციური რვიანი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ხელისუფლებასთან და ჩიხში შევიდა ეს მოლაპარაკებები. ითქვა, რომ პროცესებს ისინიც ქუჩიდან და აქციების მეშვეობით წარმართავენო... თუა იმის შანსი, რომ ყველა ერთად დადგეთ და ერთიანი ფრონტით შეუტიოთ ხელისუფლებას?*

— მე მივესალმები, თუკი იგივე რვიანში შემავალი პარტიები დადგებიან საღ და რეალისტურ პოზიციაზე. ხუთთვიანი მოლაპარაკებების შემდგომ კარგია, ბოლოს და ბოლოს თუ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ ხელისუფლებასთან ლაპარაკი ნიშნავს მგლის თავზე სახარების კითხვას. ხუთი თვის წინაც ჩემთვის ეს ცნობილი იყო, კარგია, რომ ხუთი თვის მერე მაინც მიდიან ამ დასკვნამდე. მთავარია, რომ ახლა მორიგ ილუზიებში არ ჩავარდნენ, შეიძლება კვლავ ერთი-ორი ტკბილი სიტყვა გადმოაგდონ ბაქრაძემ ან პალიკო კუბლაშვილმა, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს ის სატყუარა, ის საკენკი, რაზეც შეიძლება წამოეგოს ოპოზიცია. დღეს უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას თავისუფალი არჩევნები შეიძლება ეღირსოს სააკაშვილის გარეშე, მხოლოდ ნაცმოძრაობის გარეშე, ამ ავტორიტარული რეჟიმის გარეშე. ჩვენ ყველას გვინდა მხოლოდ თავისუფალი არჩევნები, გვინდა ახალი საარჩევნო გარემო, გვინდა დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარება. როგორც ეგვიპტელი ხალხი ამბობდა, რომ ჩვენ არჩევნები გვინდა, მაგრამ მუბარაკის პირობებში ვერ ჩატარდება თავისუფალი არჩევნები. მით უმეტეს, ჩვენ გვეთქმის ეს, რომ სააკაშვილის პირობებში ვერ ჩატარდება ასეთი თავისუფალი არჩევნები, ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს. მით უმეტეს, სააკაშვილი მუბარაკს ნამდვილად ვერ შეედრება, მუბარაკი გაცილებით სერიოზული და სოლიდური ფიგურაა, ვიდრე სააკაშვილი. მე ვეჭვობ, რომ იგივე რვიანიდან ყველა შემოტრიალდეს, აი, ამ სწორი პოზიციისაკენ და რეალისტური პოზიციისაკენ. ვისშიც იქნება მზადყოფნა, რომ მართლაც რეალური პოლიტიკური ბრძოლის გზას დაადგნენ, რეალურ ბრძოლას შემოუერთდნენ, ეს მისასალმებელია.

*— სააკაშვილი დასცინის ამ რვიანს, მათ ულტიმატუმებს საკმაოდ ცინიკურად უპასუხა და რამდენად უნდა ველოდოთ, რომ ის რამეს დაუთმობს ოპოზიციას?*

— იცით, რაშია საქმე? საერთოდ, სააკაშვილი და ეს რეჟიმი ფიქრობს, რომ თუ ჩამიჩუმი არ იქნა, საერთოდ არ აპირებს არანაირ დათმობაზე წასვლას, თუ რაღაც ატყდა, ასე რომ ვთქვათ, აი, მაშინ შეიძლება ერთი ბარტყი გადმოუგდონ, ვთქვათ, ოპოზიციის ნაწილს. მთავარია, რომ ოპოზიცია ამას არ წამოეგოს.

*— ფაქტია, რომ მარტივად არ დათმობენ და ექსცესებს თუ ელით?*

— მარტივად არ დათმობენ. არც ერთი ავტორიტარული ხელისუფლება მარტივად არ თმობს, მაგრამ სააკაშვილს და მის სისტემას ძალა იმ დონის არა აქვს, როგორიც მუბარაკს ჰქონდა, ტუნისში როგორიც ჰქონდათ. გაცილებით სუსტი რეჟიმია, თუმცა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩვენთან ოპოზიციაც არ არის ძლიერი. თუმცა, ჩვენ ყველას ერთად, უპირველეს ყოვლისა, იმედი უნდა გვქონდეს ხალხის გამოღვიძების. მინდა გითხრათ, რომ სახალხო კრება ატარებს ძალიან სერიოზულ სამუშაოს, ეს სამუშაო გრძელდება. ძალიან დიდი სამუშაოა ჩატარებული სწორედ ხალხში, თბილისშიც, რაიონებშიც კვლავ გრძელდება ეს სამუშაო და ჩვენ, რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ ეს თავის ნაყოფს გამოიღებს.

*— ხელისუფლება არ დაუშვებს, ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და არეულობა მოაწყოსო, იყო შეფიცულების დაკავების მცდელობაც...*

— დააკავეს და გამოუშვეს გია ბურჯანაძე. ამ შემთხვევაში უკან დაიხია ხელისუფლებამ, ხომ ხედავთ. მათ ჩვენი მზად ყოფნა დაინახეს, თორემ მათ ჰქონდათ სურვილი, რომ გია ბურჯანაძე, ასე ვთაქვათ, ჩაეყუდებინათ, მაგრამ მერე უკან დაიხიეს. ძალა დაინახეს, აი, ამაშია საქმე, მიხვდნენ, რომ ეს ასე ადვილად არ დამთავრდებოდა და ძალიან გართულდებოდა ვითარება.

*— გამწვავებას მოერიდნენ?*

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ რთული იყო ჩვენთან ბრძოლა, ჩვენ უკან არ დავიხევდით.

*— თუ დაიწყო აქციები და ეს იყო მწვავე და ერთიანი ფრონტით, ხელისუფლება უკან დაიხევს?*

— მე მინდა გითხრათ, რომ ხალხის ძალის წინაშე რა თქმა უნდა, ხელისუფლება თავის ვანო მერაბიშვილებიანად, კუდებიანად, სოდებიანად, სპეცრაზმებიანად და ზონდერ ბრიგადებიანად და ასე შემდეგ, ის, დამერწმუნეთ, უძლური იქნება.

*— თუმცა, არც გულზე ხელდაკრეფილები დასხდებიან და მშვიდად დაგიწყებენ ყურებას...*

— რა თქმა უნდა, მათი მთავარი ამოცანაა, რომ სწორედ ხელი შეუშალონ ხალხის გამოსვლას და ყველა გზით ცდილობენ ამას. ოპოზიციაში სხვადასხვა განხეთქილებების და ინტრიგების ჩაგდებით, უიმედობის გაღვივებით და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი საზოგადოებაზე დადებითად არ მოქმედებს და ამიტომ ჩვენ ყველას გვმართებს ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გამოჩენა და ახლა, მით უმეტეს.

**ჩვენ ყველამ პიროვნული დაპირისპირებები გვერდზე გადავდოთ, როდესაც საქმე ეხება დიდ მიზანს, როდესაც საქმე ეხება ქვეყნის გადარჩენას, როცა საქმე ეხება მართლაცდა გადამწყვეტ ბრძოლას.**

# მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციური „რვიანის" მოთხოვნას მიუღებლად მიიჩნევს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ოპოზიციური რვიანის" ინიციატივას ერთ მანდატიანი საარჩევნო ოლქების გაუქმების შესახებ, მიუღებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ „რამდენიმე რადიკალურ პარტიას" სურს, რაიონებს არ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები პარლამენტში, რადგან თავად სურთ გადაწყვიტონ, ვინ აირჩევს პრემიერ მინისტრს და მინისტრებს „ბევრად უფრო მეტი გავლენის მქონე" მომდევნო პარლამენტში.

პრეზიდენტმა საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში, პოეტ მუხრან მაჭავარიანი სახლის ეზოში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს სხვა საკითხებთან ერთად, საარჩევნო სისტემაზეც ისაუბრა და დაიცვა მმართველი პარტიის პოზიცია არსებული მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნების თაობაზე.

— საქმე არის ძალიან კონკრეტული მე ვიყავი მაჟორიტარი დეპუტატი თბილისის ცენტრალური რაიონიდან. ზუსტად ვიცოდი, რომ ანგარიშვალდებული ვიყავი არა ჩემი პარტიული ლიდერების წინაშე, არა ვილაც ჩემი მეგობრების წინაშე. ამ ხალხმა ამირჩია და ეს ხალხი გამაგდებდა შემდეგ არჩევნებზე, თუ მათ დავალებას არ შევასრულებდი, — განაცხადა მან.

— ახლა არის დებატები იმის თაობაზე, როგორი უნდა იყოს საარჩევნო სისტემა საქართველოში. შემდეგი წლის არჩევნებისთვის მიდის მომზადება. რამდენიმე რადიკალური პარტიის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რაიონებს არ უნდა ჰყავდეთ თავისი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. პარტიებმა უნდა გადაწყვიტონ თბილისში, ვინ უნდა იყოს მათი წარმომადგენელი პარლამენტში, — აღნიშნა პრეზიდენტმა და იქვე ხაზი გაუსვა, რომ შემდეგი პარლამენტი დააკომპლექტებს საქართველოს მთავრობას და ე.ი. ბევრად უფრო მეტი გავლენა ექნება.

— თუ თქვენ აღარ გკითხავენ მაჟორიტარების არჩევას, მაშინ პრემიერ მინისტრს და მინისტრებს შეარჩევს ერთი და იგივე 30 40 კაცი, რომელიც მაქსიმუმ რუსთაველზეა ნამყოფი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში,— მიმართა მან მოსახლეობას.

ერთმანდატიანი ოლქები ერთ-ერთი საკითხია მათგანაც, რის გამოც „ოპოზიციურ რვიანსა" და მმართველ პარტიას შორის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

მმართველი პარტიის განცხადებით, ის არ აპირებს მოქმედ მაჟორიტარულ სისტემაზე უარი თქვას და დაეთანხმოს რვა ოპოზიციური პარტიის ერთობლივ წინადადებას, რომ 150-წევრიანი პარლამენტის 75 წევრი კვლავაც პროპორციული სისტემით აირჩეს, ხოლო დანარჩენი 75 დეპუტატი რეგიონულ პროპორციული წესით, ნაცვლად არსებული ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემისა. მმართველი პარტია მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობის გაზრდის



ინიციატივითაც გამოვიდა, თუმცა ოპოზიციისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## ილია მეორე: ადამიანი, რომელიც ბოროტებას აკეთებს, ჯოჯოხეთს იმზადებს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას ადამიანის მიერ ბოროტების კეთებისას ჯოჯოხეთში მოხვედრაზე იქადაგა.

— ის ადამიანი, რომელიც ბოროტებას აკეთებს, ამ ქმედებით ის თავისთავად იმზადებს ჯოჯოხეთს, — ბრძანა პატრიარქმა.

მისი თქმით, ზოგი ადამიანი უკეთეს დროს ელოდება, ზოგი ელოდება საყვარელ ადამიანს, ზოგი კი ადამიანს, რომელიც საპყრობილეში ჰყავს და ელოდება მის გათავისუფლებას. ყველაფერი, რაც კი ადამიანის თავს ხდება, ჩვენს შინაგან ცხოვრებაზეა დამოკიდებული და ეს ყველაფერი არის ლოცვა-კურთხევა და ადამიანმა არ უნდა დაკარგოს უფლის მადლი.

— ერთხელ, როდესაც ბავშვების კოლონიაში ვიყავი, ბავშვები ეფერებოდნენ მოზვერს. ერთმა იკითხა, რა უნდა ვუქნათ მოზვერსო და პასუხად ელოდებოდა, რომ ეტყოდნენ, დავკლათ და ვჭამოთო, თუმცა მას ბრძნულად უპასუხეს. ეს მოზვერი ახლა არის „მალალეტკებთან“, როდესაც ჩვენ „ვზროსლებთან“ გადავალთ, ამასაც „ვზროსლებთან“ გადავიყვანთო. ეს სიკეთე საოცარია ადამიანში და ეს სიკეთე ადრე თუ გვიან გამოვლინდება ადამიანში და ადამიანი ნახავს თავის გზასა და ადგილს, — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა ადამიანს ბრძნული გონება უსურვა იმისთვის, რომ განვასხვავოთ, სად არის კეთილი და სად ბოროტი.

გუშიევე ილია მეორემ რამდენიმე სამღვდელო პირი დეკანოზის ხარისხში აიყვანა და გამშვენებული ჯვრისა და ოქროს ჯვრის ტარებით დააჯილდოვა.

ილია მეორემ 174-ე საჯარო სკოლასთან არსებული ანსამბლი საგალობელი„ დალოცა. **მედიანიუსი**

## „ქართული პარტია“ სააკაშვილის რეჟიმის მესაფლავე გახდება

ქართული პარტია ის ძალაა, რომელიც მალე სააკაშვილის რეჟიმის მესაფლავე გახდება. ამის შესახებ პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბარმა „ქართული პარტიის“ შაბათს გამართულ თბილისის საქალაქო კონფერენციაზე განაცხადა.

— საათობით შეიძლება ლაპარაკი სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ ცუდ საქმეებზე, მაგრამ ყველაზე უარესი, რასაც ეს რეჟიმი აკეთებს, საზოგადოებაში უიმედობის და ნიჰილიზმის დანერგვაა. ჩვენ შევცვლით იმ განწყობას და მასთან ერთად სააკაშვილის რეჟიმსაც, — აღნიშნა სოზარ სუბარმა და დასძინა, რომ რევოლუციის მოხდენა კონკრეტულ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს არ შეუძლია. რევოლუციას ხალხი ახდენს და „ქართული პარტია“ ყოველთვის ხალხის გვერდით იდგება.

საქალაქო კონფერენციაზე სოზარ სუბარმა პოლიტიკურ და სამოქალაქო ძალებს ერთიანობისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

— გაერთიანდეთ უკეთესი მომავლისთვის საბრძოლველად, დავივიწყოთ წარსული წყენა და ერთად დავდგეთ. თუ კონსოლიდიციას მოვახერხებთ, წინ ვერაფერი დაგვიდგება და სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს აუცილებლად დავამარცხებთ, — განაცხადა „ქართული პარტიის“ თავმჯდომარემ.

**მედიანიუსი**

# ისრაელი აფხაზეთის აღიარებას აპირებს?!



## სეპარატისტების გასაიდუმლოებული ვიზიტი აღთქმულ ქვეყანაში



**თეა მარხვაი ე**

საქართველოსა და ისრაელს შორის დაპირისპირება სერიოზულ სახეს იღებს. ამ შემთხვევაში წინა კვირაში გამართული მატჩი არაფერ შუაშია. თბილისსა და თელავს შორის სიტუაცია გაცილებით ადრე დაიძაბა და მას სხვა მიზეზი აქვს.

გასული წლის ოქტომბერში ქართველმა სამართალდამცავებმა ბათუმში 2 ებრაელი ბიზნესმენი დააკავეს. მათ შორის ერთ-ერთი რონი ფუქსი გახლავთ, რომელმაც საქართველოს საერთაშორისო სასამართლოში საქმე მოუგო. საქართველოს ხელისუფლებას მისი ასი მილიონი მართებს.

ამ თანხასთან დაკავშირებით სასაუბროდ იგი საქართველოში ქვეყნის პრემიერმა მოიწვია, ბათუმში ჩამოსულები კი დააკავეს. ოფიციალური თბილისი ამტკიცებს, რომ ისინი ქართველ ჩინოვნიკს ქრთამს სთავაზობდნენ.

ამ საქმეს თავიდანვე სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ თბილისსა და ისრაელს შორის ურთიერთობა გამწვავდებოდა. ამ შეფასებას ხელისუფლება არ ეთანხმებოდა. მათი განცხადებით, ასეთი რამე მოსალოდნელი არ იყო.

არადა, რამდენიმე ხანში საქართველო ისრაელმა სახიფათო ქვეყნების სიაში შეიტანა. ცოტა ხნის წინ კი ჩვენს სპიკერს ჩაუშალეს ვიზიტი ისრაელში, რასაც თბილისი ცოცხალი თავით დღემდე არ აღიარებს. ისრაელის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა პირადად განაცხადა, რომ თავის ქართველ კოლეგას ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო ურჩია ვიზიტის გადადება.

სანამ ამ ამბავს ბაქრაძეს ამცნობდნენ, ეს საკითხი ისრაელის საკანონმდებლო ორგანომ განიხილა. საქმის განხილვაში ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა მონაწილეობდა.

როგორც ებრაული პრესა წერს, ვიზიტის გადადებას ყველა პარტია დაეთანხმა. ასევე მოხდა მდგრადი ეკონომიკის განვითარების მინისტრის შემთხვევაშიც. ისრაელმა კარი არც ვერა ქობალიას გაუღო.

ჩვენი ხელისუფლება ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. უფრო მეტიც, საპარლამენტო უმრავლესობა გადარეულიც კია, რატომ იცავს ოპოზიცია ებრაელ ბიზნესმენებს. ამ დღეებში უმრავლესობამ დაკავებული ებრაელები თაღლითებად მოიხსენია.

ამასობაში უცხოურ პრესაში ჩვენთვის საკმაოდ უსიამოვნო ამბები იწერება. ამ დღეებში გავრცელდა ცნობა, რომ ისრაელმა შესაძლოა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. ამის შესახებ ინფორმაციას ისრაელის საინფორმაციო პორტალი „იზრუსი“ ავრცელებს. სხვათა შორის, ამ პორტალმა გამოაქვეყნა პირველმა ბაქრაძის ვიზიტის ჩაშლის შესახებ.

ბოლო დროს საქართველოში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების, რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმის გამო ისრაელისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის გაუარესებული ურთიერთობის საფუძველზე ისრაელის საინფორმაციო პორტალი „იზრუსი“ ვარაუდობს, რომ იერუსალიმში დამოუკიდებლობის აღიარების მიმართულებით აფხაზი სეპარატისტები გააქტიურდებიან, რადგან შეაბამისი ფონი მათ საქართველოს ხელისუფლებამ „შეუქმნა“.

„იზრუსი“ თავის სტატიაში ირწმუნება, რომ გასული თვის განმავლობაში ისრაელში ფარულად უკვე იმყოფებოდა აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შვიდი წარმომადგენელი. მათ ვიზიტს არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა. აღნიშნული ვიზიტის შესახებ ისრაელსა და აფხაზეთში პოლიტიკოსების ძალიან ვიწრო წრე ფლობდა ინფორმაციას.

საინფორმაციო პორტალი აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის საგარეო უწყების ერთ-ერთ ხელმძღვანელზე დაყრდნობით წერს, რომ აფხაზეთის დელეგაციის წარმომადგენლები იერუსალიმში რამდენიმე პარლამენტარსა და ბიზნესმენს შეხვდნენ. „იზრუსი“ არ ფლობს ინფორმაციას, რის შესახებ მიმდინარეობდა საუბარი აფხაზ და ებრაელ პოლიტიკოსებს შორის, თუმცა, სტატიაში ხაზგასმულია, რომ აფხაზ სეპარატისტებს იერუსალიმის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების იმედი აგვისტოს ომამდე ჯერ კიდევ ოთხი წლით ადრე, 2004 წელს ჰქონდათ.

— 2004 წელს აფხაზეთის პრემიერი ვალერი არშბა აცხადებდა, რომ ისრაელი ერთ-ერთი პირველი აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას, ხოლო 2008 წელს სერგეი შამბამ განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის აღიარების კუთხით ისრაელი სოხუმის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2009 წელს იმავე შამბამ განაცხადა, რომ ისრაელში ცხოვრობს დიდი რაოდენობით ადიღო-ჩერქეზული დიასპორა, რომელთან კონტაქტიც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია, — ნათქვამია სტატიაში.

„იზრუსი“ წერს, რომ გასულ წლებში, მიუხედავად აფხაზეთიდან ისრაელის მიმართულებით წამოსული უამრავი სიგნალისა, იერუსალიმი მათ შეუმჩნეველს ტოვებდა, გამომდინარე გეოპოლიტიკური და სხვადასხვა საშინაო მიზეზიდან.

— პირველ რიგში იმიტომ, რომ ისრაელში უამრავი ქართველი ემიგრანტი და ბიზნესმენი ცხოვრობს, რომლებიც თბილისს ლობირებას უწევდნენ. ამის გამო 90-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში საქართველო ისრაელის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნეოდა. მხარეებს შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით 2003 წელს, ვარდების რევოლუციის შემდეგ გაძლიერდა, როდესაც საქართველოში მოვიდა ხელისუფლება, რომელშიც რამდენიმე ადგილობრივი ებრაელი იყო წარმოდგენილი. ამ უკანასკნელებმა 2005-2008 წლებში ნაყოფიერად იმუშავეს იმისათვის, რომ ქვეყნებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა კიდევ უფრო გამყარებულიყო. ეს ყველაფერი კი ისრაელსა და აფხაზეთს შორის კონტაქტების გაჩენას (თუნდაც არაოფიციალურის) გამორიცხავდა, — აღნიშნულია სტატიაში და იქვე ნათქვამია, რომ 2009-2011 წლებში საქართველო-ისრაელის ურთიერთობაში ბევრი რამ შეიცვალა.

— პირველ რიგში, ისრაელმა სამხრეთ კავკასიაში სტრატეგიული პარტნიორი საქართველო აზერბაიჯანით ჩაანაცვლა. ამას მოწმობს ბაქოში პრეზიდენტ შიმონ პერესისა და საგარეო უწყების ხელმძღვანელ ავიგდორ ლიბერმანის ვიზიტი. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ამ რანგის ებრაელი პოლიტიკოსი არ სწვევია. ამ პერიოდში ისრაელსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ოპტიმიზაციაც განხორციელდა, — ნათქვამია სტატიაში და იქვე მითითებულია, რომ დროის აღნიშნულ მონაკვეთში ისრაელმა საქართველოსთვის შეიარაღების მიყიდვა შეწყვიტა.

„იზრუსი“ ყოველივე ზემოთქმულის საქართველოს მხრიდან საპასუხო ნაბიჯად ქართველი სამართალმდაცველების მიერ ისრაელში საკმაოდ გავლენიანი ბიზნესმენების, რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის დაკავების ფაქტს მიიჩნევს, რომელთაც სასამართლომ 7 და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საინფორმაციო პორტალი წერს, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებების გამო პირველად აფხაზ სეპარატისტებს ეძლევათ საშუალება, საქართველოს მიმართ ნეგატიურად განწყობილ ისრაელის პოლიტიკურ წრეებში თავიანთი დამოუკიდებლობის აღიარებისათვის პიარკამპანია აწარმოონ. პორტალი ასახელებს რამდენიმე გარემოებას, რის გამოც ისრაელი შესაძლოა აფხაზეთთან თანამშრომლობით დაინტერესდეს, რომელთა შორისა გასასვლელი შავ ზღვაზე, აფხაზეთში არსებული ავტომაგისტრალი, რომელიც რუსეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს უკავშირდება. ასევე იერუსალიმმა სოხუმი შესაძლოა რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიულ ობიექტადაც გამოიყენოს, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ აფხაზეთის მიმართ ირანისა და თურქეთის ინტერესი იზრდება. სახელდება აფხაზეთისადმი არაბული ქვეყნების ინტერესიც.

თუმცა, სტატიაში აღნიშნულია, რომ ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ იერუსალიმი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის უკვე მზად არის.

— მაგრამ, ამ ყველაფრიდან იკვეთება ლოგიკური დასკვნა, რომ ისრაელისა და საქართველოს ხელისუფლებებს შორის ურთიერთობის გაუარესების ფონზე, საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზ სეპარატისტებს ისრაელის მიმართულებით გააქტიურებისათვის საუკეთესო პირობები შეუქმნა, — აღნიშნულია სტატიაში.

ისრაელის ხელისუფლება, ჩვენისგან განსხვავებით, წინდაუხედავ გადაწყვეტილებებს არ იღებს და ისინი, სავარაუდოდ, არ აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ამაში ეჭვი არც ქართველ ექსპერტებს ეპარებათ.

# „ვაშინგტონ პოსტი“: შეერთებული შტატები საკუთარ მეგობრებს კარგად არ ეპყრობა

**ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“ აშშ-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკასა და საქართველო-რუსეთს შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გამართული მოლაპარაკებების შესახებ აქვეყნებს სტატიას სათაურით: „თუკი საქართველოს შეუძლია რუსეთთან მოლაპარაკება, რატომ არ შეუძლია აშშ-ს?“.**



სტატიის ავტორი ჯენიფერ რუბინი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები საკუთარ მეგობრებს კარგად არ ეპყრობა და ეს რუსეთთან მსო-ს საკითხზე გამართულ მოლაპარაკებებში საქართველოს მიტოვებით გამოიხატება.

„საქართველოს შეუძლია დღეს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანება დაბლოკოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაწევრიანება შეერთებულ შტატებს და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ქართველები ამბობენ, რომ მოსკოვთან შეთანხმებისთვის მზად არიან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კრემლი სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკის სფეროში მსო-ს წესებს დაიცავს. ასეთი პოზიცია რუსეთისგან მოითხოვს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ კონფლიქტში საქართველოსთან კომპრომისს“ — ნათქვამია სტატიაში.

რუბინი აღნიშნავს, აშშ-ს ადმინისტრაციამ აგრძნობინა თავის დემოკრატიულ მოკავშირეს: ბიჭებო, თქვენ დამოუკიდებლად უნდა მიაღწიოთ რუსებთან შეთანხმებას„ და ამით მკაფიოდ განაცხადეს იმის შესახებ, რომ ვაშინგტონი არ ჩაერევა რუსეთს და საქართველოს შორის მსო-ზე მოლაპარაკების პროცესში.

„არ არის გასაკვირი, რომ რუსეთი მოლაპარაკებებში ძალიან კონსტრუქციული„ არ არის და რატომ უნდა იყოს? შეერთებულ შტატები არაფერს ითხოვს და მოსკოვის მსოში გაწევრიანების პირობად არ აყენებს რუსული არმიის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დატოვებას, რომელიც მას ოკუპირებული აქვს. ამავდროულად, შეერთებული შტატები არ ჩქარობს საქართველოს თავდაცვითი შეიარაღებით უზრუნველყოფას“—წერს „ვაშინგტონ პოსტი“

ჟურნალისტს სტატიაში სენატორ ჯონ მაკკეინის სიტყვები მოჰყავს, სადაც ის ამბობს, რომ აშშ-ს ინტერესებში არ შედის უდრეკი პარტნიორის მიტოვება, რომელიც ნატოში გაწევრიანებისკენ ადეკვატური თავდაცვითი საშულებების გარეშე მიისწრაფვის.

„ეს სიტუაცია რუსული გადატვირთვის„ ცენტრალურ კითხვასთან აბრუნებს: და ჩვენ რას გავურბივართ ამით? პრეზიდენტ ობამას რუსული პოლიტიკის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ აშშ-ს პოლიტიკა რუსების დაშოშმინების სურვილით თავდაყირა დადგა. ჩვენ არ ვთავაზობთ საქართველოს შეიარაღებას, რომელმაც თავისი სამხედრო ნაწილები ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში განათავსა. სამაგიეროდ, უფასო ბილეთს ვაძლევთ რუსეთს, რომელსაც ოკუპირებული ჰყავს მისი მეზობელი 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების დარღვევით და სხვათაშორის, რუსეთის ქმედებები ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ისეთივე ცუდი ან შესაძლოა უარესიც კია, ვიდრე ოდესმე იყო. მაპ-თან დაკავშირებული შემთხვევის არ იყოს, ადმინისტრაციას იმდენად სურს „წარმატების“ წარმოჩენა (რუსეთის მსო-ში გაწევრიანება), რომ ჩვენ ველარ ვაცნობიერებთ იმას, რომ ეს რუსეთის წარმატებაა და არა შეერთებული შტატების. ეს მნიშვნელოვანი გზავნილია არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ ირანის, ჩინეთისა და ახლო აღმოსავლეთისთვის. უხეშად რომ ვთქვათ, შეერთებული შტატები საკუთარ მეგობრებს კარგად არ ეპყრობა“,— ნათქვამია „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში.

**მედიანიუსი**

# ოპოზიცია გაერთიანების გარეშე მიზანს ვერ მიაღწევს

შორენა კოწოწაშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი გელა ნიკოლაიშვილი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას ხალხის მასობრივი დაუმორჩილებლობის ეშინია და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს.**

ამის მიუხედავად, ნიკოლაიშვილის თქმით, ხელისუფლება დროდადრო ცდის ოპოზიციის ცალკეულ ჯგუფებს, რისი შესაძლებლობა აქვთ მათ და ამის ერთ-ერთ მაგალითად სახალხი კრების წარმომადგენლის და შეფიცულთა რაზმების ხელმძღვანელ გია ფურჯანაძის დაპატიმრების ფაქტი მოჰყავს. ადვოკატის თქმით, სელისუფლებას აინტერესებდა, რა რეაქცია ექნებოდათ ბურჯანაძის დაპატიმრებაზე სახალხო კრების წარმომადგენლებს და რამდენი ხალხი გააპროტესტებდა ამ უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებას. ხალხის მცირე რაოდენობით კი ხელისუფლებამ, თავის მხრივ, წარმოაჩინა, რომ სახალხო კრებას არაფრის შანსები არ აქვს.



— ხელისუფლებას ეშინია საყოველთაო დაუმორჩილებლობის. ერთადერთი ეს არის, რომელიც მოიცავს მთელ საქართველოს. საყოველთაო დაუმორჩილებლობამდე არ უნდა მივიდეს ეს დუღილის ტემპერატურა. ეს არის ხელისუფლების მიზანი და ამას ახერხებს კიდეც. ცდილობენ, რომ დუღილის ტემპერატურამ არ აიწიოს ქვეყანაში და ჯერჯერობით ასეც არის, — აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი. მისი თქმით, თუ ამ ერთ თვეში ან თვენახევარში რაიმე შეიცვალა, შეიძლება უცბად რაღაც აგორდეს, მაგრამ დღეს ამის ნიშნები არ შეიმჩნევა.

რაც შეხება ოპოზიციური პოლიტიკური რვიანის მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ხელისუფლებასთან მიმდინარე მოლაპარაკებებს, როგორც რვიანის წარმომადგენლებმა ოფიციალური განცხადებით გამოკვეთეს, ამ ეტაპისთვის მოლაპარაკებები უშედეგოდ მიმდინარეობს, ისინი დროებით აჩერებენ მოლაპარაკებებს, თუმცა, არ წყვეტენ. ოპოზიციური რვიანის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება დათმობებზე არწამოსვლით საზოგადოებას და ოპოზიციურ სპექტრს კონფრონტაციისკენ უბიძგებს.

— ცალკე აღებული ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეძლებს რაიმე ფორმით ხელისუფლებას უკან დაახევინოს, ამიტომ მე ყოველთვის ვამბობს, რომ ნებისმიერი: სახალხო კრება იქნება, პოლიტიკური რვიანი, ქართული პარტია თუ სხვა, მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით აქვთ მათ შანსი, რაღაცნაირად ხელისუფლებას უკან დაახევინონ. ვიმეორებ, შანსი აქვთ, თორემ გარანტია არა აქვთ. ცალცალკე მოქმედებებით მათ არანაირი შანსი არ გააჩნიათ. კარგი იქნება, თუ რვიანიც დარწმუნდება, რომ არანაირი პერსპექტივა არ აქვს ნებაყოფლობით დათმობისკენ მოწოდებებს ხელისუფლებისადმი, ვინაიდან ხელისუფლება დათმობს მხოლოდ ზეწოლით. ეს ზეწოლა უნდა იყოს ერთიანი ძალით. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რას ფიქრობს, ვის რევოლუციური არჩევნები უნდა და ვის რა. მთავარია ძალა — საზოგადოების მხარდაჭერა უნდა იგრძნობოდეს, — აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი.

***— ბატონო გელა, მიანიშნებთ, რომ ხელისუფლებას შეგნებულად მიჰყავს პოლიტიკური პროცესი კონფრონტაციისკენ?***

— დღესდღეობით ეს ხელისუფლებას აწყობს იმიტომ, რომ ის გრძნობს, რომ ძალა მათ მხარეზეა.

# 150 მილიონი ლარი სოფლის მეურნეობის სექტორის 9 პროგრამას მოხმარდება

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი ირწმუნება, რომ სოფლის მეურნეობის დამატებითი დაფინანსებისათვის გათვალისწინებული 150 მილიონი ლარი 9 პროგრამის განსახორციელებლად დაიხარჯება.**

როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნული 150 მილიონი ლარი იმ ასიგნებებს, კერძოდ, 69 მილიონ ლარს, დამატებული თანხაა, რომელიც 2011 წლის დასაწყისში სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის იყო გამოყოფილი.

— უკვე გამოყოფილი 69 მილიონი ლარის გარდა, ეს თანხა დამატებით დაიხარჯება. 150 მილიონი ლარის ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და ფონდებიდან გამოიყოფა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში ეხმარებიან. ვცდილობთ, რომ ამ 150 მილიონ ლარში სახელმწიფოს მონაწილეობა ნაკლები იყოს და უფრო მეტის მოზიდვა კერძო სექტორიდან მოხდეს, — აღნიშნა ბაკურ კვეზერელმა და დასძინა, რომ შესაბამისი პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის სურვილი, ძირითადად, უცხოერმა კომპანიებმა გამოთქვეს.

მინისტრის ინფორმაციით, 150 მილიონი ლარი შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად გადანაწილდება: სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკური ცენტრი 40,5 მილიონი ლარი (გარდაბანი); სიმინდის საშრობი და სათავსოები 22 მილიონი ლარი (ლაგოდეხი), მექანიზაციის: ტრაქტორების, კომბაინების, აგრეგატების შეძენა 29,5 მილიონი ლარი: სარგავი მასალის სათბურები — 15 მილიონი ლარი (ზუგდიდი); საცდელი მეურნეობა წვეთოვანი მორწყვით — 5 მილიონი ლარი (გორის რაიონის სოფელი ნიქოზი); დაწვიმებით მორწყვითი სისტემის დანერგვა 5 მილიონი ლარი (გარდაბანი, დედოფლისწყარო); სადრენაჟო კოლექტორების აღდგენა დასავლეთ საქართველოში 5 მილიონი ლარი; მოცვის სადემონსტრაციო ფართობის მოწყობა 3 მილიონი ლარი (აჭარა, გურია, იმერეთი) და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები 25 მილიონი ლარი.

კვეზერელის თქმით, ამ პროექტების ნაწილის განხორციელება უკვე დაწყებულია, დანარჩენების დაწყებაზე კი შესაბამის კომპანიებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# რა შეცდომა დაუშვა საქართველომ ჰააგაში

## ჰააგაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ „ინტერპრესნიუსი“ საერთაშორისო სამართლის ექსპერტს, პროფესორ ლევან ალექსიძეს ესაუბრა

***— ბატონო ლევან, გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე ურთიერთგამომრიცხავი კომენტარები გაკეთდა. რა გადაწყვეტილება მიიღო ჰააგის სასამართლომ და შედეგის თვალსაზრისით, როგორია იგი ქართული მხარისთვის?***

— ჰააგაში რამდენიმე სასამართლო მდებარეობს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგიერთ ინფორმაციაში ნათქვამია, თითქოს საქმე განიხილა ჰააგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ. ჰააგაში ასეთი სასამართლო არ არსებობს. იქ არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, იუგოსლავიის მოვლენებთან დაკავშირებით მოქმედი ტრიბუნალი და გაერო-ს დაარსების დღიდან არსებული გაერო-ს საერთაშორისო სასამართლო, ანუ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო. გაერო-ს საერთაშორისო სასამართლო იხილავს საქმეებს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებს შორის. როცა ერთი მხარე უჩივის მეორე მხარეს, ხოლო მეორე უარზეა, ამ შემთხვევაში სასამართლო საქმეს ხელს ვერ მოკიდებს. ამიტომ, იმ საკითხის დასმა, რაც აგვისტოს ომის დროს ამოხდა, ამ სასამართლოში არ შეიძლებოდა. დაირღვა ჰუმანიტარული სამართალი, რუსეთი შემოვიდა საქართველოში და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ინტერვენცია მოახდინა. მე ამის შესახებ მაშინაც ვამბობდი, როცა ჩვენი ოპოზიცია ყიჟინებდა, თითქოს ომი საქართველომ დაიწყო და ყველაფერი ჩვენი ბრალია. დღეს არავის ეჭვი არ ეპარება, რომ 2008 წლის აგვისტოში იყო საქართველოს წინააღმდეგ აგრესია, ოკუპაცია და ინტერვენცია, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. ამაზე ტალიავინის მოხსნებაც ძალიან კარგად მეტყველებს. სამწუხაროდ, ჩვენ სარჩელში ეს სათანადოდ არ ასახულა. ხელისუფლების წარმომადგენლები, კერძოდ, იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანი აქტიურად უწევდა პროპაგანდას ჩვენს მიერ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანას და ასეთი პოზიციის დასაბუთებას დღემდე აგრძელებს. ჩემი აზრით, ქართულმა მხარემ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი ნაჩქარევად, 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა. ასეთი რამ, ასე ნაუცბათევად არ ხდება. საერთაშორისო სასამართლო ისეთი ორგანოა, რომელიც წლების მანძილზე იხილავს საქმეებს. გაერო-ს საერთაშორისო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით დავა 1990-იან წლებიდან მოყოლებული, 2008 წლის აგვისტომდე არ არსებობდა. ეს საკითხი საქართველომ მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს წამოჭრა. რუსეთს სურდა, ჩვენს სარჩელზე მხარედ არ ეღიარებინათ, მაგრამ სასამართლომ რუსეთი მხარედ მაინც სცნო. აშკარაა და ყველამ იცის, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ აგრესია განახორციელა და ამისათვის სასამართლო საჭირო არ იყო. იმავე ევროპის საბჭომ, ევროკავშირმა და ნატო-მ საქართველოს საკითხში რუსეთი აღიარეს მხარედ და საუბრობენ საქართველო-რუსეთის ომზე. სასამართლომ მიიღო რუსეთის საპასუხო არგუმენტები - საქართველომ სასამართლოს არასწორად იმის გამო მიმართა, რომ კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ„, რომელსაც ქართული მხარე თავის სარჩელში უთითებს და, რომლის ძალითაც რუსეთი ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოში, შესაძლოა იყოს სარჩელის საფუძველი, მაგრამ საქართველომ ამ კონვენციის სრულად ასამოქმედებლად არ დაიცვა წინაპირობები, რითაც სასამართლოში რუსეთის მიყვანა შეიძლებოდა. რაში მდგომარეობს ეს წინაპირობები? უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები, მოსარჩელე მხარე შეეცადოს პრობლემის მოლაპარაკებებით მოგვარებას. თუ ეს მოლაპარაკებების გზით ვერ მოხერხდა, მაშინ არსებობს რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტი, რომელშიც საკითხის განხილვა 5-პუნქტიანი პროცედურის დაცვით უნდა წარიმართოს. 5-პუნქტიანი პროცედურა ითვალისწინებს იმასაც, თუ როგორ უნდა უჩივლო, როგორ უნდა იყო განხილული საქმე და როგორ აცნობონ რუსეთს, ეს კი, არ არის შესრულებული. სასამართლომ გადაწყვეტილების მისაღებად იხელმძღვანელა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კონვენციის 22-მუხლით, რომელშიც ნათქვამია, რომ კონფლიქტი პირდაპირი მოლაპარაკებების ან ამავე კომიტეტის საშუალებით უნდა მოწესრიგდეს. საწყენია სასამართლოს გადაწყვეტილებაში შემდეგი ჩანაწერი - ქართულმა მხარემ აღიარა, რომ რუსეთის წინააღმდეგ რასობრივი დისკრიმინაციის საერთაშორისო კონვენციის ასამოქმედებლად, ანუ საკითხის დასასმელად, ყველა ეტაპი და პროცედურა არ გაუვლია. ქართულმა მხარემ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოში საქმე სარჩელის არასწორად შეტანის გამო წააგო.



სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით რუსეთი მხარეა, მაგრამ მხოლოდ აგვისტოს ომის შემდეგ. სასამართლოს ვინმეს ბრალეულობა და დამნაშავეობა არ განუსაზღვრავს. სარჩელში საქართველო მიუთითებდა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს რეგიონებში: ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რასობრივი დისკრიმინაცია და ეთნიკური წმენდა გრძელდებოდა 20 წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, სასამართლომ ეს უარყო. ამ შედეგზე ამდენი რესურსისა და დროის სადარჯვა ჩემთვის გაუგებარია.

რუსეთი თავიდანვე აცხადებდა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის კონვენცია, რაც საფუძვლად დაედო ქართული მხარის სარჩელს, არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმის საფუძველი, რომ სასამართლოს დაეწყო საქმის არსებითად განხილვა და სასამართლოში რუსეთის იძულებით მოყვანა. სასამართლოს საბოლოო დასკვნა ასეთია გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს ქართული მხარის სარჩელის განსახილველად სათანადო იურისდიქცია იმის გამო არა აქვს, რომ ის პროცედურები, რომელიც ამგვარი საქმის განხილვას საჭიროებს, დარღვეულია, ანუ არ შესრულებულა.

***— თუ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს ქართული მახრის სარჩელის მიღების უფლება არ ჰქონდა, ქართულმა მხარემ რატომ შეიტანა ამ სასამართლოში სარჩელი, ანაც თავად ჰააგის სასამართლომ რატომ მიიღო განსახილველად?***

— 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დასრულების შემდეგ, საერთაშორისო სამართლის ცნობილმა პროფესორმა, ანტონიო კასესემ (რომელიც არა მარტო დიდი მეცნიერია, არამედ რამდენიმე საერთაშორისო სასამართლოსა და ტრიბუნალს თავმჯდომარეობდა), 2008 წლის 1 სექტემბერს გაზეთ გარდიანში„ გამოაქვეყნა სტატია სათაურით მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო„. კასესე საქართველოს მიმართ რუსეთის ნამოქმედარსა და პოზიციას აცამტვერებს, მაგრამ იმავე სტატიაში იგი აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რატომ მიმართა საქართველომ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს და არა - სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. რასაც ჩვენ რუსეთს ვდებდით ბრალად, უფრო სისხლის სამართლის სასამართლოს კომპეტენციაა, ვინაიდან, ეთნიკური წმენდისა და გენოციდის საკითხებს სწორედ ეს სასამართლო განიხილავს.

***— რასთანაც ახლა ჩვენ გვაქვს საქმე და, ფაქტობრივად, რის წინაშეც აღმოვჩდით, ქართული მხარის არასაკმარისი პროფესიონალიზმის ბრალია თუ კიდევ სხვა რამის?***

— თავიდანვე, როცა ქართულმა მხარემ სარჩელი შეიტანა, პრაქტიკულად ომი დასრულებულიც არ იყო. მაშინ სასამართლომ მოგვიანებით, ოქტომბერში გამოიტანა დადგენილება და ორივე მხარეს მოუწოდა, შეწყვიტოს სამხარი მოქმედება, ეთნიკური წმენდა, ადამიანების რასობრივი დისკრიმინაცია. ეს მაშინ ჩვენთვის დიდი შეღავათი არ იყო. იმავე სასამართლოს გადაწყვეტილებაში ითქვა, რომ ეს გადაწყვეტილება დროებითია, რომ სასამართლო წინასწარ არ განსაზღვრავს, მიიღებდა თუ არა ქართული მხარის სარჩელს არსებითი განხილვისათვის. მას შემდეგ, რაც იმავე სასამართლოს ქართულმა მხარემ კვლავ მიმართა, მისი პასუხი ასეთია — გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს საქმის არსებითი განხილვისთვის იურისდიქცია არ გააჩნია.

***— თქვენ ახსენეთ, რომ ბრალს გვდებენ იმაში, რომ საქართველოს 20 წელი რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი არ შეუტანია. თქვენი შეფასებით, რატომ არ შეიტანა საქართველომ სარჩელი სისხლის სამართლის საერთშორისო სასამართლოში?***

— ჩემს არაერთ გამოსვლაში რუსეთი პირდაპირ მყავს დადანაშაულებული საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკაში, მაგრამ ელცინს ხელი ჰქონდა მოწერილი ეუთო-ს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბულის სამიტების განცახდებებზე, სადაც აღიარებული იყო აფხაზების მიერ აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდა. დასავლეთს მიაჩნდა, რომ ოფიციალური რუსეთის გარდა არსებობდნენ სხვა ძალები, რომლებიც ამ მხრივ უნდა ყოფილიყვნენ დადანაშაულებული. სარჩელის შეტანა იმიტომ არ მოხდა, რომ იგი ეხება რუსეთის გარეთ მიმდინარე მოვლენებს. რასობრივი დისკრიმინაციის კონვენცია ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება. როგორც კი ამ საზღვარების გარეთ გადიხარ, ეს უკვე საერთაშორისო სამართლის სხვა პრობლემაა, რომელსაც რასობრივი დისკრიმინაციის კონვენცია არ ითვალისწინებს. ჩემი შეფასებით, ჩვენს საქმეზე გაერო-ს საერთაშორისო სასამართლო სავსებით სწორად მოიქცა.

***— როგორ შეაფასებდით გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარებს? თუ შეიძლება თქვენ მაინც გაგვარკვიეთ რა ახარებს ხელისუფლებას და, საერთოდ, გვაქვს თუ არა ჩვენ საქმე სასიხარულოდ?***

— ძალიან მიმძიმს, მაგრამ უნდა ვთქვა,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# არასამთავრობოები ზონდერების მხილებას იწყებენ

შორენა კოწოწაშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „არა“ ხელისუფლების ზონდერ-ბრიგადების წევრებისა და იმ ადამიანების მხილებას იწყებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებლები არიან.**

**ახალგაზრდული მოძრაობის წევრებმა ზონდერების მხილების პირველ პრესკონფერენციაზე რამდენიმე ასეთი პიროვნების ვინაობა გაახმოვანეს და მათ სააკაშვილის რეჟიმის ჯალათები უწოდეს.**



მოძრაობა „არას“ წარმომადგენელ გიორგი ფარესიშვილის განცხადებით, პიროვნებები, რომლებიც დღეიდან საზოგადოებისთვის საჯაროდ გახდებიან ცნობილი თავიანთი საქმიანობით, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის შენარჩუნებას უწყობენ ხელს. ფარესიშვილი ასახელებს კონკრეტულ ფაქტებს, თუ როგორ დაიმსახურეს დანაშაულებრივი საქმიანობით ამ ადამიანებმა მაღალი თანამდებობები.

— ეს არის ამ მხილების დასაწყისი. ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ მათ გამომჟღავნებას. ვაფრთხილებთ ვანო მერაბიშვილს, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის საკმაოდ საპასუხიმგებლო განცხადება, თუ მოძრაობა „არას“ რომელიმე წევრს ერთი თმის ღერი მაინც ჩამოუვარდება, ვანო მერაბიშვილის პასუხიმგებლობის საკითხი იქნება დაყენებული. იმიტომ, რომ ის ადამიანები, ვინც ჩვენ ვამხილეთ, ყველაფერზე არიან წამსვლელები, — აცხადებს გიორგი ფარესიშვილი.

რაც შეეხება თავად მხილებულ პიროვნებებს, ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლებმა, მათ მიერ მხილებულთა გალერეაში ერთ-ერთი პირველი დაასახელეს გევორგ სავოიანი, რომელიც პროფესიით იყო შემდუღებელი და ცხოვრობდა ახალციხეში.როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, სავოიანს საკმაოდ ახლო მეგობრობა აკავშირებს ამირან მესხელთან. სავოიანმა დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ადგილზე შეიცვალა სამსახური და საბოლოოდ გახდა იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს მომსახურების სააგენტოს უფროსის მოადგილე. ამჟამად სავოიანი არის ახალციხის მომსახურების სააგენტოს უფროსი.

— სავოიანს შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის დაწყების დროს არანაირი ჩინი არ ჰქონდა და ოთხ დღეში ოთხი ვადამდელი წოდება მიიღო, რაც ყოვლად წარმოუდგენელია. გევორგ სავოიანი ასევე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აძლევენ ადამიანებს, განსაკუთრებული გმირობის ჩადენის შემდეგ, — განაცხადა გიორგი ფარესიშვილმა. მისი თქმით, დღესდღეობით სავოიანს მიანიჭეს გენერლის წოდება.

ახალგაზრდული მოძრაობა „არას“ დაკვირვების ქვეშ მოხვდა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ვინმე „მასტერა“ — გიორგი დგებუაძე. გიორგი ფარესიშვილის თქმით, ის საზოგადოებისთვის ცნობილია 2007 წელს ადამიანების ცემაში, გატაცებაში ძალადობაში. შემჩნეულია კრიმინალურ ავტორიტეტ მამარდაშვილთან გარკვეულ მოლაპარაკებებში.

— 27 მარტს მოხდა ჩანაწერი, სადაც გია დგებუაძე, ე.წ. „მასტერა“, ესაუბრება მამარდაშვილს სხვადასხვა თემებზე. ერთ-ერთი საუბრის თემა არის გირვლიანის თემა და იგი ამბობს, სინანულს გამოთქვამს, რომ მისი კოლეგები გირგვლიანის მკვლელობის გამო იხდიან სასჯელს. ჩვენთვის ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ მასტერა მსგავსი საქმიანობის გამო დააწინაურეს და დღესდღეობით ჩვენი ინფორმაციით, რომელიც გადაუმოწმებელია, გია დგებუაძე დანიშნულია საქართველოს სამხედრო პოლიციის უფროსად, — განაცხადა გიორგი ფარესიშვილმა.

მოძრაობა „არას“ საგანგებო პერესკონფერენციაზე დასახელდა კობა ჩადუნელი, რომელიც, ფარესიშვილის თქმით, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, შემდეგ იქნა გათავისუფლებული. ვანო მერაბიშვილის მოსვლის შემდეგ იგი აღადგინეს თავის პოზიციაზე რიგით პოლიციელად. ფარესიშვილის თქმით, 2007 წლის შემდეგ იგი ხდება გლდანი-ნაძალდევის მეათე განყოფილების უფროსი, ხოლოდ 2009 წელს დიღომში პოლიციის სამმართველოსთან დარბევებში აქტიური მონაწილეობისთვის იგი გადაყვანილ იქნა გლდანი-ნაძალადევის მესამე განყოფილების უფროსად. ფარესიშვილის ინფორმაციით, კობა ჩადუნელი სულ მალე დაინიშნება გლდანის პოლიციის უფროსად.

— მინდა აღვნიშნო, რომ აი, ასეთი პოლიციის პოპულარიზება ხდება. ასეთ პოლიციაზე იწერება ჰიმნები. ასეთ ადამიანებს აწინაურებენ და ასეთები მართავენ დღესდღეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს, — აღნიშნა გიორგი ფარესიშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად უპრობლემოდ მოიპოვეს ახალგაზრდებმა მსგავსი ტიპის ინფორმაციები, ფარესიშვილის თქმით, მათ ეს მასალები გაუხმაურებლად და კონფიდენციალურად მიიღეს და მათი განსაჯაროობა პირველად მოხდა.

— ეს არის დასაწყისი. ჩვენ ვაპირებთ, სახალხო გამოფენები მოვაწყოთ არა მხოლოდ ამ ადამიანებზე, კიდევ მრავალია რიგში ჩაყენებული. ეს დამნაშავე ადამიანები ხალხის წინაშე წარდგებიან და სულ მალე ხალხის მიერ იქნებიან გასამართლებული, — აღნიშნა ფარესიშვილმა. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები არა მხოლოდ ზონდერების ვინაობას გაახმაურებენ, არამედ ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დაგროვილი ქონების ფოტოებსაც გამოფენენ და უკანონოდ ნაშოვნი ქონების შესახებ გაავრცელებენ ინფორმაციას.

## გრიგოლ ვაშაძე ესპანეთს ეწვევა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე 4 აპრილს ესპანეთს ეწვევა.

იგი თავის კოლეგა მინისტრს შეხვდება. საქართველოსა და ესპანეთის ოფიციალური პირები ორმხრივი ურთიერთობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ურთიერთდახმარების საკითხებს განიხილავენ.

გრიგოლ ვაშაძე ესპანეთის მხარესთან გამართული შეხვედრებისას მასპინძლებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას გააცნობს. მისი ვიზიტი 9 აპრილს დასრულდება.

**მედიანიუსი**

## ყველაზე ძლიერი ქარი ქუთაისში ქროდა

დასავლეთ საქართველოში გუშინწინ დაწყებული ძლიერი ქარი დღეს საღამომდე შენარჩუნდება.

როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, 2 აპრილს ნყველაზე ძლიერი, 32მ?წ სიჩქარის ქარი ქუთაისში დაფიქსირდა.

სამეგრელოში 30მ?წ სიჩქარის ქარი ქროდა, ხოლო აჭარაში შედარებით ნაკლები—25მ?წ. ვინაიდან, მოსალოდნელი ქარიშხალის შესახებ მოსახლეობა ინფორმირებული იყო, მას სერიოზული ზიანი არ მოუტანია.

დასავლეთ საქართველოში ქარის მიუხედავად, ჰაერის ტემპერატურა არ დაცემულა და კვლავ 20-21 გრადუსია.

სინოპტიკოსების ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოში ნალექი კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება, ჰაერის ტემპერატურა კი საშუალოდ 10 გრადუსი შენარჩუნდება.

როგორც სინოპტიკოსები ვარაუდობენ, 5 აპრილიდან აღმოსავლეთ საქართველოში გამოიდარებს, ხოლო დასავლეთ საქართველოში ნალექიანი ამინდებია მოსალოდნელი.

**მედიანიუსი**

## ფოთში ძლიერმა ქარმა სახლებს სახურავი ახადა

ძლიერმა ქარმა ფოთში 15 მრავალსართულიანი და 10 კერძო სახლი დააზიანა.

სახურავის გარეშეა დარჩენილი ასევე სახელმწიფო დანიშნულების ობიექტები. წაქცულია ათეულობით ძირი ხე.

როგორც შემთხვევის ადგილიდან „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ქარმა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებიც დააზიანა, რის გამოც ამჟამად მთელი ქალაქი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

სავარაუდოდ, გათიშულ აბონენტებს ელექტოენერგიის მიწოდება დღის ბოლომდე ეტაპობრივად აღუდგებათ. ადგილზე „ენერგო პრო-ჯორჯიას“ ბრიგადები მუშაობენ.

მოსახლეობა დახმარებას ხელისუფლებას სთხოვს. ფოთის მერიაში ხვალიდან შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც ზარალის ზუსტ ოდენობას დაადგენს, რის შემდეგაც დაზარალებულ მოსახლეობას მერიის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გამოეყოფა.

**ინტერპრესნიუსი**

## ოკუპანტები მიცვალებულის გადასვენების უფლებას არ იძლევიან

რუსი ოკუპანტები ქარელში დაღუპულ ზნაურის რაიონის სოფელ ახალშენის მკვიდრის ნათესავებს ცხედრის საკუთარ სოფელში დამარხვის საშულებას არ აძლევენ.

60 წლის ზაურ ხუციშვილი ქარელის რაიონში შვილიშვილის სანახავად იყო ჩამოსული და გულის შეტევით გარდაიცვალა. ცხედრის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვენების საქმეში წითელი ჯვრის წარმომადგენლობა ჩაერევა, რადგან უკვე ორი დღეა, ოკუპანტები ახლობლებს მიცვალებულის გადასვენების საშუალებას არ აძლევენ.

მისმა ოჯახმა ცხინვალის ხელისუფლებასთან გადასვენების დეტალები შეათანხმა, თუმცა ეგრეთ წოდებულ საზღვართან ჭირისუფლები რუსმა ოკუპანტებმა გააჩერეს.

ისინი მიცვალებულის მშობლიურ სოფელში დასაკრძალავად გადასვენების უფლებას ამ დრომდე არ იძლევიან.

**მედიანიუსი**

## სახალხო კრება დღეს ახალი პროექტის პრეზენტაციას გამართავს

სახალხო კრება დღეს, უზენაეს სასამართლოსთან პროექტის „სამართალი მოდის“ პრეზენტაციას გამართავს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სახალხო კრების პრესსამსახურიდან აცნობეს, პროექტს „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრი შალვა ოგბაიძე უხელმძღვანელებს.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დაგეგმილია პრესკონფერენციაც, რომელზეც პროექტის მიზნების შესახებ ისაუბრებენ. პრეზენტაცია ხვალ, 13:00 საათისთვისაა დაგეგმილი.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს ჯეიმს აპატურაი ეწვევა



სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო ს სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი 7-8 აპრილს საქართველოში ჩამოვა.

ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვედრებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან გამართავს.

დაგეგმილია აპატურაის სტუმრობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც.

ნატოს სპეციალური წარმომადგენლის საქართველოში ვიზიტი მარტის ბოლოს უნდა განხორციელებულიყო, თუმცა ლიბიაში მიმდინარე მოვლენების გამო ის რამდენიმე დღით გადაიდო.

**მედიანიუსი**



# ირაკლი ოქრუაშვილთან თანამშრომლობას არ ვაპირებთ!

## რა ჭორებს უვრცელებენ გიორგა ის მომხრეებს

**ირაკლი ოქრუაშვილი და მისი პარტია კარგა ხანია გვპირდებიან, ხელისუფლებას შეგიცვლითო. ქალაქში გავრცელებული ხმების თანახმად, ხელისუფლება ოქრომ იგორ გიორგაძესთან ერთად უნდა შეგვიცვალოს. დაუდასტურებელი ინფორმაციებით, ისინი ერთ-ერთ ქვეყანაში შეხვდნენ ერთმანეთს და სამომავლო გეგმებზე შეთანხმდნენ. ამ ინფორმაციას ქართული პარტია მონაჭორს უწოდებს. იმავეს ამბობენ გიორგაძის მომხრეებიც. ამ დროს ჭორაობენ, რომ ოქრუაშვილთან შესაძლოა ყოფილმა პოლიტპატიმრებმა ითანამშრომლონ, რომლებიც ციხიდან ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს და რომლებიც ასევე იგორ გიორგაძის გუნდის წევრებად მოიაზრებიან.**

**მოსალოდნელია თუ არა ასეთი თანამშრომლობა, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტპატიმარი, ადამიანის უფლებათა დამცველი ზაზა დავითაია ესაუბრება, რომელიც ახლა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მუშაობს.**



თეა მარხვაი ე

*— ზაზა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ ირაკლი ოქრუაშვილის პარტიაში აპირებთ გაწევრიანებას. ეს მართალია?*

— ეს არის ჭორი და მონაჩმახი, რომელიც მიზანმიმართულად იქნა გავრცელებული, რათა მოხდეს ჩვენი დისკრედიტაცია.

*— ვის სურს თქვენი დისკრედიტაცია?*

— ხელისუფლებას. მათ სურთ, რომ ჩვენ თავის მართლების რეჟიმში ვიყოთ. ძალიან უნდათ, დაგვტოვონ საბრალდებო სკამზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე თავისუფლები ვართ.

*— ირაკლი ოქრუაშვილთან კავშირი ასეთი სახიფათოა?*

— ამ შემთხვევაში ირაკლი ოქრუაშვილთან კავშირის ხიფათიანობა არაფერ შუაში არ არის. ეს კავშირი რეალურად რომ ყოფილიყო, ამაზე ხმამაღლა ვისაუბრებდი. ჩვენ მათ მოძრაობასთან არც იდეოლოგიური და არც პოლიტიკური თანხვედრა არ გაგვაჩნია. მე პირადად ამჟამად გახლავართ ჟურნალისტი, რომელიც პოლიტიკაში არ ერევა. თავის პოზიციებს გამოხატავს თავისუფალ პრესაში. ვიღაცას ძალიან უნდა, რომ ჩვენთან დაკავშირებით კიდევ გაჩნდეს კითხვები.

*— რა კითხვები?*

— თითქოს ჩვენ კიდევ სახიფათოები ვართ და კიდევ ვაწყობთ „გადატრიალებას“. ერთი ხომ მოვაწყვეთ და ახლა უკვე მეორეს გვედავებიან. არადა, სულ რაღაც 3 კვირის გამოსულები ვართ ციხიდან.

*— ისე, ოქრუაშვილისა და იგორ გიორგაძის კავშირებზე მანამდეც საუბრობდნენ, როცა თქვენ ჯერ კიდევ ციხეში იყავით.*

— ოქრუაშვილი და გიორგაძე შეიძლება მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს, რაც მე მონაჭორი მგონია. ასეც რომ ყოფილიყო, რა შუაში ვართ ჩვენ. გიორგაძესთან ჩვენი გაიგივება ვიღაცის ინტერესშია.

*— იყო დრო, როცა თქვენ იგორ გიორგაძესთან ერთ ბლოკში იყავით. ამ ბლოკს ანტისოროსი ერქვა.*

— ერთი პერიოდი ჩვენ მართლა ვიყავით ამ ბლოკში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს გაერთიანება იყო მუდმივი. თუ ქვეყანას დასჭირდება, მზადა ვარ, ისევ ვითანამშრომლო გიორგაძესთან და ოქრუაშვილთანაც. მე, როგორც ყოფილ პოლიტპატიმარს, დღეს ირაკლი ოქრუაშვილთან არანაირი კავშირი არა მაქვს.

*— თქვენი დაკავება როცა მოხდა, მაშინ ოქრუაშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყო...*

— მაშინ ის თავდაცვის მინისტრი იყო. მე პატივს ვცემ ყველა იმ პიროვნებას, რომელიც ხელისუფლებას რეალურად უპირისპირდება. პოლიტიკურ სპექტრში არიან ისეთი ძალები, რომლებიც მოჩვენებით უპირისპირდებიან ხელისუფლებას. ეს ძალები ჩემს პატივისცემას ვერ დაიმსახურებენ.

*— იქნებ დაგვისახელოთ ძალები, რომლებიც, თქვენი აზრით, ხელისუფლებას მოჩვენებითად უპირისპირდებიან?*

— სიმართლე რომ გითხრათ, ჯერ კარგად იმაშიც კი ვერ ვერკვევი, ვინ უპირისპირდება ხელისუფლებას რეალურად და ვინ არა.

*— თქვენთან ერთად დაკავებული ადამიანების ნაწილი ისევ ციხეშია. რას გვეტყვით მათ შესახებ, რა პირობებში იმყოფებიან ისინი?*

— დაკავებულთაგან ამ ეტაპისთვის რვანი ვართ გათავისუფლებულები, ორი ადრე გათავისუფლდა, 6 ახლა გამოვედით. 4 ადამიანი ისეც ციხეშია. ესენი არიან: მაია თოფურია, თემურ ჟორჟოლიანი, კახა ქანთარია და რამაზ სამნიძე. ისინი უდანაშაულოდ სხედან ციხეში. ხელისუფლება მათ მიმართ ისევ ახორციელებს რეპრესიებს. ეს არის გაუგონარი უსამართლობა. კახა ქანთარია იმყოფება გაუსაძლის პირობებში. დაპატიმრების დღიდან არის დახურული რეჟიმის დაწესებულებაში.

*— სად იხდის კონკრეტულად სასჯელს?*

— რუსთავის №6 ციხეში, სადაც არ არის ჰაერის ჩასუნთქვის და ფეხის გამართვის საშუალება. 4,5 წელიწადის განმავლობაში ამ მდგომარეობაში ყოფნა ეს არის ადამიანის წამება. ხელისუფლება კახა ქანთარიას აწამებს. თემურ ჟორჟოლიანი და რამაზ სამნიძე, რომლებსაც 7-7 წელი აქვთ მისჯილი, იმყოფებიან რუსთავის №17 დაწესებულებაში. ისინი არიან ზონაზე.

*— შედარებით უკეთესად იქნებიან ალბათ?*

— ზონაზე არიან და ქანთარიასთან შედარებით მათი პირობები უკეთესია. ეს ადამიანები უდანაშაულოდ არიან დაკავებული და მათი მდგომარეობა არის ძალიან მძიმე. ჟორჟოლიანი უკვე ჭარმაგ ასაკში იმყოფება. ეს წლები მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. მის მიმართ ირღვევა ადამიანის უფლებები. მის შემთხვევაში დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. პატიმრობაში მყოფი ადამიანის უფლებები ყოველთვის ირღვევა. დღევანდელ პენიტენციალურ სისტემაში ხომ მით უმეტეს. რამაზ სამნიძე ახალგაზრდაა და უმკლავდება ამ პრობლემას. მასაც ჰყავს ოჯახი, რომელსაც მატერიალურად ძალიან უჭირს. თითოეული ჩვენგანის ოჯახს, რომელიც ამ საქმის თანამონაწილეები ვიყავით, ძალიან უჭირს. ცრუ ინფორმაციები ვრცელდება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ფინანსურად ვართ უზრუნველყოფილები. ხელისუფლებამ ჩვენ მარტო თავისუფლება არ წაგვართვა. წაგვართვა არსებობის საშუალებაც. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენდამი განხორციელებულ რეპრესიებში.

*— მაია თოფურიაზე რას გვეტყვით, მისი მდგომარეობა ალბათ ყველაზე მძიმეა. სხვა თუ არაფერი, სამი შვილის დედაა.*

— მაია მართლაც უმძიმეს მდგომარეობაშია. ის სამ შვილს მოაშორეს. საპატიმროში უდანაშაულოდ გატარებული წლები მის ცხოვრებაში იქნება სერიოზული დაღი. მე მინდა ქედი მოვიხარო მაიას სიმტკიცის და ვაჟკაცური ბუნების წინაშე. ის მართალია მანდილოსანია, მაგრამ გაუგონარი სიმტკიცე გამოამჟღავნა. მან მთელ ქართველ ერს აჩვენა უტეხი სული. მან ასევე აჩვენა მთელ ერს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ადამიანმა, რომელსაც უდანაშაულოდ აპატიმრებენ. ის ჩვენს საქმეში ლიდერად გადიოდა. ის გახდა ჩვენთვის მიმბაძველობის მაგალითი. მან გვაჩვენა, როგორ უნდა ვყოფილიყავით, როგორც საპატიმროში, ასევე მის გარეთ. თავისი საქციელით ის ყველა პატიმრისთვის მისაბაძი ადამიანი გახდა.

*— როგორ პირობებში იმყოფება მაია თოფურია?*

— ის სასჯელს იხდის რუსთავის ქალთა მეხუთე დაწესებულებაში. ის იმავე პირობებში ცხოვრობს, როგორშიც სხვა პატიმრები. ამ დაწესებულებაში რატომღაც არ შედის თავისუფალი პრესა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ არ შედის გაზეთი „ასავალ-დასავალი“. არ გამოვრიცხავ, რომ არ შედიოდეს არც „ახალი თაობა“. სხვა გაზეთებსაც პრობლემები ექმნება. თავისუფალ პრესას იქ დიდად არ სწყალობენ.

*— რომელ გაზეთებს უშვებენ ციხეში?*

— კონკრეტულად არ ვიცი, რომელი გაზეთები შედის. თავისუფალი გაზეთები იქ ან არ შედის, ანდა სერიოზული პრობლემები ექმნება. ეს არის უსამართლო მიდგომა ამ ციხის ადმინისტრაციისა. ეს არის პატიმრების უფლებების უხეში დარღვევა. ზოგადი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პიარისაგან, რომელსაც კალმახელიძე აწარმოებს. თუ გინდათ, წარმოიდგინოთ, რა პირობებში არიან პატიმრები, კალმახელიძის პიარი უკუღმა შეატრიალეთ.

*— მაია თოფურიას შვილები როგორ ცხოვრობენ. ვინ პატრონობთ მათ?*

— მაიას შვილები მისი დის და ნათესავების კმაყოფაზე არიან. მატერიალურად მათ ძალიან უჭირთ. ყველაზე დიდი გასაჭირი ისაა, რომ მათ დედიკო 4 წელზე მეტია არ უნახავთ. სააკაშვილის რეპრესირებული რეჟიმი თუ შენარჩუნდა, კიდევ 4 წელი ვერ ნახავენ. სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს ადამიანები არიან უდანაშაულონი. ამის მიუხედავად არ აპირებს მათ გათავისუფლებას.

*— მაშინ ის გვითხარით, რატომ არ აპირებს მათ გათავისუფლებას?*

— არ უნდა „შეინატეხოს“ მის მიერ ჩადენილი დანაშაული უდანაშაულო ადამიანების მიმართ. მას არ აწყობს, ხალხმა დაინახოს, რომ ის უდანაშაულო ადამიანეს იჭერს. ამიტომაც ვამბობ, რომ სააკაშვილი მათ არ გაათავისუფლებს. თუკი მასზე არ მოხდა პოლიტიკური ზეწოლა.

*— ვინ უნდა მოახდინოს ზეწოლა?*

— როგორც ქართველმა საზოგადოებამ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

*— ასეთი ზეწოლა შეინიშნება?*

— ზეწოლა ნელ-ნელა ძალას იკრებს. ეს ისეთი ნელი ტემპით მიდის, რომ წარმატების იმედი ნაკლებად უნდა გვქონდეს. ეს რიტმი დამოკიდებულია საზოგადოების აქტიურობაზე. მინდა ყველას მოვუწოდო აქტიურობისაკენ. უდანაშაულო ადამიანების პატიმრობაში დატოვება ყველამ უნდა გავაპროტესტოთ. ამაზე ყველამ უნდა ამოიღოს ხმა. თუ არადა, ის აქლემი, რომელსაც ხელისუფლების რეპრესიული რეჟიმი ჰქვია, ყველა პარტიის და პიროვნების წინაშე დაიჩოქებს.

*— სხვათა შორის, უკვე ძალიან აქტიურად ჩნდება მედიაში ინფორმაციები, რომ აპრილიდან დიდი დაჭერები იწყებაო. ამის შესახებ თქვენ თუ გაქვთ რამე ინფორმაცია?*

— პირდაპირი ინფორმაციები არა მაქვს. ინტუიციით ვგრძნობ, რომ ეს ასე იქნება. რეპრესიულ რეჟიმს არსებობისთვის ახალი რეპრესიები სჭირდება. ისინი გრძნობენ, რომ მათ მიმართ ხალხში უკმაყოფილება იზრდება. თავის გადასარჩენად ხალხზე უნდა განახორციელონ ზეწოლა.

*— ქუთაისის არშემდგარ ტერაქტს ოპოზიციის დიდი ნაწილი რატომღაც გამოგონილ ამბად მიიჩნევს. რატომ არ სჯერათ ამის, რუსეთისგან ხომ ყველაფერია მოსალოდნელი.*

— მე ამ ფაქტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია არა მაქვს. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ესეც ისეთივე სპექტაკლი იყოს, როგორც ჩვენ მიერ დაგეგმილი „გადატრიალება“.

*— ბოლოდროინდელ ტერაქტებში სულ მეგრელები ფიგურირებენ. ეს სამეგრელოს მიმართული მორიგი კამპანია ხომ არ არის?*

— მოდით, ნუ ვიტყვით, რომ ეს სამეგრელოს წინააღმდეგ არის მიმართული. ამ კუთხეში არის უდიდესი ეროვნული სული. ამ კუთხის მაცხოვრებლები დიდი შანტაჟის ქვეშ ცხოვრობენ.სამეგრელოში ძალაუფლება რამდენიმე პირის ხელშია, რომლებიც ამ რეჟიმთან დაახლოებული ხალხია. ისინი ამ ძალაუფლებას ტერორით ინარჩუნებენ. ალბათ, ამიტომაა, რომ მეგრული გვარები ხშირად ფიგურირებს. დაჭერითაც ბევრ მეგრელს აპატიმრებენ. სამეგრელოში ერთხელ თუ იფეთქა დაუმორჩილებლობამ, იმას უკვე ვერავინ გააჩერებს. სააკაშვილს ამის ძალიან ეშინია. სამეგრელომ თუ ხმა ამოიღო, სააკაშვილი თანამდებობას დაკარგავს.

*— ერთ პრეზიდენტს უკვე დააკარგვინა სამეგრელომ სკამი...*

— მეორე შეიძლება სააკაშვილი იყოს, რომელსაც თბილისში მხარდაჭერა არა აქვს. რეგიონებში კი ცდილობს, რომ რეპრესიული მანქანებით შეინარჩუნოს ძალაუფლება. რაც შეეხება ტერაქტებს, ამის უკვე აღარავის სჯერა. ტერაქტების ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს აღარ სჯეროდა ხალხს. ისიც იგონებდა ასეთ რამეებს.

*— როგორ იგონებდა, კაცი ორჯერ ააფეთქეს!*

— ის მანქანა მართლაც ააფეთქეს, სადაც შევარდნაძე იჯდა. ამის მიუხედავად დღემდე ვამბობ, რომ ეს იყო დადგმული.

*— რატომ გგონიათ ასე?*

— მას სჭირდებოდა მითის შექმნა, რომ გარკვეული ძალები ებრძვიან. ამით რეპრესიული მანქანა აამოქმედა. სააკაშვილი ამაშიც კი ბაძავს თავის პოლიტიკურ მამას. ანალოგიურად, ოღონდ უფრო დახვეწილი ფორმებით მოქმედებს.

*— დახვეწილ ფორმებში რას გულისხმოთ, თავის მანქანას რომ არ ანაღმვინებს?*

— თავის მანქანას იმიტომ არ ანაღმვინებს, რომ ბუნებით არის ლაჩარი. შევარდნაძე იყო უშიშარი. სააკაშვილი, ცაში თვითმფრინავი რომ მიფრინავს, მიწაზე ფორთხავს.

*— შიში ისეთი ოხერია, რომ ასეთი რამე ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება დაგვემართოს, მით უმეტეს, როცა საქმე ომს ეხება.*

— ნებისმიერს შეიძლება დაგვემართოს ასეთი რამე. ეს არ იქნება ქვეყნისთვის სახიფათო. ჩვენ ხომ არ ვმართავთ ამ ქვეყანას. ქვეყნის სათავეში ნამდვილად არ უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ცაში თვითმფრინავის გამოჩენაზე ფორთხვას იწყებენ.

## ძველი სატელეფონო კოდები 25 აპრილამდე იმოქმედებს

ძველი სატელეფონო კოდები ახალთან ერთად 25 აპრილამდე იმოქმედებს.

როგორც „მედიანიუსს“ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში განუცხადეს, თავდაპირველი დებულების თანახმად, სატელოეფონო კოდების გარდამავალი პერიოდი 4 აპრილს უნდა დასრულებულიყო. მასში ცვლილების შეტანის შემდეგ კი, აღნიშნული ვადა 25 აპრილამდე გახანგრძლივდა.

არსებული სატელეფონო კოდების პარალელურად ახალ კოდების გამოყენება 2 აპრილიდან დაიწყო, ცვლილება 2011 წლის ივნისიდან ფიჭური კავშირგაბმულობის კოდებსაც შეეხება, ნუმერაციის ეროვნული სისტემაში ცვლილებები კი საბოლოოდ დეკემბრისთვის დასრულდება.

ნუმერაციის ეროვნული გეგმის თანახმად, საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების სატელეფონო კოდები იცვლება, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების აბონენტების მიერ საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირის განხორციელების წესი კი უცვლელი რჩება.

ცვლილების თანახმად, თბილისში დასარეკად გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს პრეფიქსი 8, ოპერატორის არჩევის კოდი (07, 10, 11, 18 და აშ.) ან მხოლოდ პრეფიქსი 8 და შემდეგ თბილისის კოდი 32 და აბონენტის ექვსნიშნა ნომერი, ბათუმში დასარეკად კი 8-იანის შემდეგ უნდა აიკრიფოს ქალაქის ახალი კოდი 422 და ბათუმის აბონენტის ხუთნიშნა ნომერი.

საღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს ქალაქების და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში დასარეკად გამომძახებელმა აბონენტმა უნდა აკრიფოს საქართველოს კოდი -995, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის ახალი კოდი და ამ ქალაქში გამოსაძახებელი აბონენტის ნომერი.

ნუმერაციის ეროვნული გეგმის პროექტის ფარგლებში, თბილისის არსებული კოდს—22 ჩაანაცვლებს 32, რუსთავის კოდი — 24, 341-ით შეცვლება, ბათუმის კოდი — 88222 422-ით ქუთაისის კოდი — 231, 431-ით.

ნუმერაციის ეროვნული გეგმით, სოხუმის ახალი კოდი 442 იქნება, ხოლო ცხინვალის 344, ზესტაფონის ახალი კოდი იქნება 492, გორის — 370, მესტიის — 410, ზუგდიდის — 415, ლანჩხუთის — 494, კასპის — 371, ჩოხატაურის — 419, ლაგოდეხის — 354, თელავის — 350, მცხეთის — 373, ოზურგეთის — 496, სამტრედიის — 411, საჩხერის — 435, სენაკის — 413, ტყიბულის-497, სიღნაღის — 355 და სხვა.

მედიანიუსი

## ქუთაისში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა

4 აპრილს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით ქუთაისში, ქალაქის ცენტრში, გაიხსნა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ჩასულ დამსვენებლებს მიაწვდის ინფორმაციას როგორც გადაადგილების, განთავსების და კვების ობიექტების შესახებ, ისე სხვადასხვა სახის სერვისებსა და საექსკურსიო მომსახურებას შესთავაზებს.

როგორც ეკონიომიკის სამინისტროში განმარტავენ, ქუთაისს სტრატეგიული ადგილმდებარეობა აქვს - ახლოს არის როგორც ზღვის, ასევე მთის კურორტებთან. ქუთაისში არის „იუნესკოს“ 2 ძეგლი, იქვეა „პრომეთესა“ და „სათაფლიის“ მღვიმეები, ვანის არქეოლოგიური გათხრები. ქუთაისი ხდება ღამისთევის ქალაქი, რაც საშუალებას იძლევა ჩაერთოს ერთდღიან ტურისტულ მარშრუტში - ზღვაზე დასვენების მსურველებისთვის ქუთაისი შეიძლება გახდეს დამატებითი შეთავაზება.

ქუთაისის ვიზიტორების გაზრდას საგრძნობლად შეუწყობს ხელს კოპიტნარის აეროპორტის რეაბილიტაცია, რაც მას საერთაშორისო რეისების მიღების საშუალებას მისცემს. 2010 წელს ქუთაისში 64 000 ვიზიტორი იყო, მათი რაოდენობა 30% გაიზარდა.

ტურიზმის ეროვნული სააგენტო აგრძელებს მუშაობას ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ერთიანი ქსელის შექმნაზე, უკვე გაიხსნა სიღნაღის, ყვარლის, მესტიის საინფორმაციო ცენტრები. უახლოეს მომავალში ტურისტული ცენტრები გაიხსნება მცხეთაში, გორში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ბათუმში, ზუგდიდსა და ანაკლიაში.

მედიანიუსი

# პატიმრები პნევმონიითა და პერიტონიტით იხოცებიან

## არსად გამიგია, პარლამენტი სახალხო დამცველისგან თავს იცავდეს!

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშთან

*— ბატონო გიორგი, როგორი მოლოდინი გაქვთ პარლამენტისგან, სახალხო დამცველის ანგარიშს მხოლოდ ცნობად მიიღებს თუ რეკომენდაციებს გაითვალისწინებს?*

— პირველ რიგში, საკომიტეტო მოსმენას ველოდები, შემდეგ — ანგარიშის პლენარულ სხდომაზე გატანას. ხშირად არის საუბარი, ანგარიშს პარლამენტი ცნობად მიიღებს თუ დადგენილებას მიიღებს მის შესახებ. თუმცა, მახსოვს, შევარდნაძის დროსაც იღებდა პარლამენტი დადგენილებას და გეგმას, როგორ უნდა მოეხდინათ რეაგირება მაშინდელი ომბუდსმენების ანგარიშზე. ვერ გეტყვით, რომ იმ დროინდელი ანგარიშები დიდი სიმწვავით გამოირჩეოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, იქაც იყო არაერთი რეკომენდაცია. პარლამენტს, კომიტეტს შეუძლია გაცილებით უფრო აქტიურად იმუშაოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების მოთხოვნის კუთხით, მაგალითად, აღმასრულებელ ხელისუფლებას მოთხოვოს პასუხი, კომენტარები სახალხო დამცველის შენიშვნებზე, რეკომენდაციებზე. პარლამენტის გადასაწყვეტია რას იზამს. დარწმუნებული ვარ, რომ ანგარიშს სხდომათა დარბაზში დებატები მოჰყვება.

*— თქვენს ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი სასჯელაღსრულების სიტემას დაეთმო. საუბარია პატიმართა გარდაცვალების მატებაზე, რომ 142 პატიმარი გარდაიცვალა. რა არის ძირითადად პატიმრების გარდაცვალების მიზეზი?*

— ანგარიშში კონკრეტული მიზეზებია მოყვანილი. საუბარია ასევე სახალხო დამცველის წარსულ რეკომენდაციებზე, სადაც მე ჯერ კიდევ 2009 წელს ვუთითებდი, რომ პრობლემა რამდენიმე მიმართულებით არათუ გვარდება, არამედ ღრმავდება. იგივე ეხებოდა სხვადასხვა გადამდები დაავადებების გარვცელებას, მათ შორის ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების. სტატისტიკით გარდაცვლილი პატიმართა ნახევარი ტუბერკულიოზის სხვადასხვა ფორმით არის გარდაცვლილი. ეს ნიშნავს, რომ რეალურად იმატა გავრცელებამ და ამ პრობლემამ ყველაზე ნეგატიური შედეგი გამოიღო, როდესაც 2010 წელს არაერთი პატიმარი გარდაიცვალა. ჩემი მონაცემებით, 2011 წელსაც არაერთი პატიმარია გარდაცვლილი. გარდაცვალების არაერთი ფაქტი საჯაროც იყო, მათ შორის კვლავ ტუბერკულოზის ფაქტები იყო. თუმცა, ტუბერკულოზი არ არის ერთადერთი მიზეზი, სხვადასხვა მიზეზებია. საგანგაშოა, როდესაც 2010-2011 წელს პნევმონია, ფილტვების ანთება, ხდება ხოლმე პატიმრების გარდაცვალების მიზეზი, ასევე პერიტონიტი, რომელიც ასევე ხშირია.

*— ხათუნა კალმახელიძემ განაცხადა, რომ მათ ბევრი გააკეთეს ამ მიმართულებით...*

— 2011 წელს, როგორც ჩანს, ფიქრი დაიწყეს, როგორ მოაგვარონ ეს პრობლემა. არ იქნება ამ პრობლემის მოგვარება ადვილი. თუმცა, ეს ნაბიჯები რამდენიმე წლის წინ რომ გადადგმულიყო, კარგი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ახალი შენობის აშენება ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. სხვანაირი მიდგომა არის საჭირო.

*— როგორია თქვენი რეკომენდაცია ამ პრობლემის მოსაგვარებლად?*

— ჯერ კიდევ სპეციალურ ანგარიშში ჯანდაცვის შესახებ რამდენიმე გვერდზე იყო გაშლილი, როგორ უნდა მოხდეს ტუბერკულოზის ინფექციის მართვა. მისი პროფილაქტიკა, პრევენცია. გარდა ამისა, საუბარი იყო იმაზე, რომ ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მოვისმინე, რომ ჯანდაცვის სამინისტროსთან მემორანდუმი გაფორმდა, როგორც იქნა, ინსტიტუციონალური კავშირი დამყარდება, რათა ტუბერკულოზს შეებრძოლონ. თუმცა, პრობლემა, ვიმეორებ, მძიმეა და ერთი ხელის მოსმით მისი მოგვარება არ მოხდება. ახალი შეცდომები არ უნდა იქნეს დაშვებული. გარდა ამისა, მოუწევთ გაცილებით მეტი რესურსის მიმართვა.

*— ერთ-ერთი მიზეზი ციხეების გადატვირთვა არის?*

— სისტემაში გადატვირთულობა 2005-2006 წლებში იყო. დღეს ეს პრობლემა არის, მაგრამ დაწესებულებების ნაწილში. დღეს გადატვირთვის პრობლემა სამ-ოთხგან დგას. თუმცა, საცხოვრებელი ფართი ადეკვატური არც ერთ დაწესებულებაში არ არის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

*— თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ სწორედ საერთაშორისო დონის სტანდარტების არის...*

— მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს არის მაღალი სტანდარტის ციხეები. ისინი აკმაყოფილებენ მთელ რიგ მოთხოვნებს, მაგრამ არის არაერთი პრობლემა, რომელიც ამ დაწესებულების წინაშე დგას, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე რეჟიმთან დაკავშირებით.

*— გარკვეულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, ქრისტიან-დემოკრატებმა კალმახელიძის მოხსნის საკითხი დააყენეს...*

— ომბუდსმენის საქმე არ არის, მოითხოვოს თანამდებობის პირების განთავისუფლება. პოლიტიკურ პროცესში მე ვერ ჩავერევი. თუმცა, რა სახით გამოიყენებენ ჩემს ანგარიშს პოლიტიკოსები, ეს მათი საქმეა. მე წარვადგინე დოკუმენტი და მათ შეუძლიათ ამაზე რეაგირება მოითხოვონ სხვადასხვა ფორმით. მე არანაირად არ ვაპირებ ამ დისკუსიაში შესვლას. თუმცა, ცხადია, ანგარიშში ბევრი ისეთი ფაქტია მითითებული, რაზეც უწყებებს მოუწევთ პასუხის გაცემა.

*— ბატონო გიორგი, ითხოვთ სასჯელაღსრულების უწყებიდან განმარტებას?*

— როდესაც მივმართავ რეკომენდაციით, 20 დღის ვადაში უნდა მომაწოდოს პასუხი. როდესაც ქალბატონი ხათუნა გაეცნობა ანგარიშს, ველოდები, რომ შეხვედრა გვექნება. შარშან იყო ასეთი შეხვედრა და ალბათ წელსაც გაჩნდება. მე მზად ვარ, რომ მასთან



**გიორგი ტუღუში პარლამენტში დებატებს ელოდება**



ერთად გავიარო ანგარიშის თითოეული სიტყვა და თავი, თუ იქნება ამის ინტერესი.

*— ანგარიშში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზეა საუბარი. რა პრობლემებია ამ მიმართულებით?*

— მოვისმინე განცხადება, რომ ჯანდაცვა ერთნაირად ხელმისაწვდომია, როგორც პენიტენციალურ სიტემაში, ასევე გარეთ, ამას ვერ გავიზიარებ. მით უმეტეს, პენიტენციალურ სისტემასთან დაკავშირებით. იქ ხელმისაწვდომობის სერიოზული პრობლემა არის. დამიჯერეთ, 142 გარდაცვალების ფაქტის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ დროული არ არის ადეკვატური ჯანმრთელობის მომსახურება. გარეთაც არის სერიოზული პრობლემები. არის პრობლემები სადაზღვეო სისტემასთან, არის პრობლემები 3-დან 60 წლამდე ადამიანები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა არ იმყოფებიან. არის საქმეები, როდესაც ფაქტიურად სახლის გაყიდვა მოუწია ერთ-ერთ ადამიანს იმის გამო, რომ ბავშვი რეანიმაციაში ჰყავდა. ბევრი პრობლემა არის, რეფორმა უნდა იყოს ორიენტირებული ჯანდაცვის უფლების უზრუნველყოფაზე, რეალიზებაზე და არა მხოლოდ ბაზრის განვითარებაზე, რაც დღეს რეალურად სახეზეა.

*— თქვენს ანგარიშში მნიშვნელოვანი თავი ეთმობა იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეულ უფლებებს. თუმცა, პარლამენტში კობა სუბელიანი უმრავლესობამ დაიცვა, რომ ასეთი მინისტრი არ ყოლია დევნილებს...*

— შეიძლება უმრავლესობას და უმცირესობას საკუთარი ხედვა ჰქონდეს, მაგრამ მე ჩემი საქმე მაქვს. რა თქმა უნდა, შეიძლება ვიღაცის მოსაზრებები გავიზიარო, მაგრამ სახალხო დამცველის საქმე არ არის პოლიტიკური შეფასებები. პარლამენტში მინისტრების გამოსვლა სხვა პროცესია, ომბუდსმენის — სხვა. ვიმედოვნებ, რომ დეპუტატებსაც ექნებათ ის მიდგომა სახალხო დამცველის მიმართ, რომელიც უნდა ჰქონდეთ. თუმცა, მე უკვე მოვისმინე უმრავლესობის რამდენიმე წევრის კომენტარი, რომ თავს დაიცავენ ომბუდსმენისგან, ასევე ამართლებდნენ სამინისტროს. ეს არის, რომ არ ვთქვა უცნაური, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი მიდგომა. პარლამენტი რომ სახალხო დამცველისგან თავს იცავდეს, ასეთი რამე არ გამიგია. ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებას ამართლებდეს, ესეც მიუღებელია, მით უმეტეს, ადამიანის უფლებათა კომიტეტი. ანგარიშს უნდა გაეცნონ დეპუტატები. თუ აქვთ კონკრეტული შენიშვნები, მოვისმენ, მაგრამ რაც შეეხება ანგარიშს, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები კითხვის ნიშანი გაჩენილიყო. ყველაფერი დასაბუთებული ყოფილიყო კონკრეტული ფაქტებით.

*— პარლამენტის ტრიბუნაზე უმრავლესობისგან კრიტიკულ შენიშვნებს ელოდებით?*

— კრიტიკასაც მოვისმენ და ქებასაც. თუ არგუმენტირებული იქნება, ძალიან დავალებული ვიქნები. მაგალითად, ერთ-ერთი დეპუტატი (უმრავლესობის წევრი არ არის) მუდმივად უკმაყოფილოა, პარლამენტი პოლიტიკური ორგანოა, არ მოველი, რომ ყველას ერთნაირად მოსწონდეს სახალხო დამცველი და მისი ანგარიში. ეს გამორიცხულია, მაშინ მე არ ვიქნებოდი ნორმალური სახალხო დამცველი. რა თქმა უნდა, აღმასრულებელ ხელისუფლებასაც აღიზიანებს ჩემი კრიტიკა, დარწმუნებული ვარ, ასევე ზოგიერთ დეპუტატს არ მოსწონს, ზოგს მოსწონს. ეს ჯანსაღი პროცესია. თუ ვინმეს შეკითხვა აქვს, ან რამე არგუმენტი, დამიჯერეთ, უპასუხოდ არავის არ დავტოვებ. ჩემთვის ამოსავალი არის კონსტიტუცია, კანონი. მინდა კონკრეტული შენიშვნები მოვისმინო მინისტრისგან, სად არ მეთანხმება, დეპუტატებს რა არ მოსწონთ, მაგრამ ვალდებული არ ვარ, ვინმეს შეხედულებები გავიზიარო. ამისთვის არ ვარ არჩეული ამ თანამდებობაზე. მათ სახალხო დამცველი უნდა შეაფასონ იმის მიხედვით, როგორი უფლებადამცველია და არა, არის თუ არა ის ვინმეს იდეების და აზრების გამტარებელი და განმახორციელებელი; ეს ჩემი ამოცანა არ არის და არც იქნება.

*— თუ იყო ისეთი უწყება, რომელიც დახურული იყო და ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაციის მიღების კუთხით?*

— სუბელიანის უწყებიდან 60 წერილზე პასუხი არ მაქვს მიღებული. ზოგ უწყებასთან ეს პრობლემა მოგვარდა, მაგრამ ზოგან იმდენად სისტემური ხასიათი მიიღო, რომ აღვნიშნე ანგარიშში.

*— რომ დააკონკრეტოთ?*

— თავდაცვის სამინისტროსთან იყო პრობლემა, ასევე ზრუნვის სააგენტოსთან, რომელიც ბავშვთა სახლების ხელმძღვანელი უწყებაა. პრობლემა იყო სასჯელაღსრულების სამინისტროსთან, საიდანაც იგვიანებდა ინფორმაცია, რიგ შემთხვევებში გვწერდნენ მცდარ ინფორმაციას, მაგალითად, გარდაცვლილ პატიმრებთან დაკავშირებით.

*— შესვლასთან დაკვაშირებით ჰქონდათ პრობლემები თქვენს წარმომადგენლებს?*

— არა, არსად არ იყო დაბრკოლება, გარდა ბავშვთა სახლებისა. პოზიტიურად უნდა აღვნიშნო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სრულად თანამშრომლობდნენ ჩვენთან. შეძლებისდაგვარად გვაწვდიდნენ ინფორმაციას. ადრე იყო პრობლემა, ბოლო წლებში ყველამ გაითავისა, რომ ეს არის კანონის მოთხოვნები, რომელიც დაცული უნდა იყოს. გარდა ბავშვთა სახლებისა, სააგენტოს ხელმძღვანელი შეეშალა, რომ მონიტორინგი ჩაეშალა. მან სცადა, რომ ბავშვებთან კონფიდენციალური საუბარი აეკრძალა. ჩათვალა, რომ მისთვის არასასურველ ინფორმაციას გვაწვდიდა და ითხოვდა, მისი წარმომადგენელი დასწრებოდა გასაუბრებას. მონიტორინგი არ გაგრძელდა, სანამ ჩემი და ჯანდაცვის მინისტრის საუბრის შემდეგ არ მოხერხდა ქალბატონი მახარაშვილის უკანონო მითითების განეიტრალება.

*— ეს იყო კანონის დარღვევა?*

— მცდელობა იყო. მონიტორინგი რომ შეწყვეტილიყო, ჩემგან ამას ძალიან ადეკვატური და მკაცრი რეაქცია მოჰყვებოდა.

*— გასული წლის განმავლობაში ყველაზე პრობლემატური სფერო რომელი გამოიკვეთა?*

— საჩივრების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე ხშირი მომართვიანობა არის პატიმრებისგან, იძულებით გადაადგილებული პირებისგან, ასევე პირებისგან, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვევით იმყოფებიან. ამ სამ კატეგორიას გამოვყოფდი. რამდენიმე ადამიანს დავეხმარეთ და აღვადგინეთ დარღვეული უფლება. თუმცა, მთელი რიგი უწყებები უარს აცხადებდნენ სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულებაზე. ამას ღიად არ ამბობდნენ, მაგრამ ასეთი პრობლემები დაფიქსირდა, მაგრამ ამ მიმართულებით პროგრესი მაინც არის. ანგარიში რომ გამოქვეყნდა, არაერთი სახელმწიფო უწყება კითხულობდა, თუ სად შეიძლებოდა ანგარიში ენახათ. ეს მიუთითებს, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის მიმართ ინტერესი გაზრდილი არის, რაც ჩემთვის პოზიტიური სიგნალია.

# რუსეთის კონფლიქტის მხარედ გამოცხადება გამარჯვებად ვერ ჩაითვლება

**პოლიტოლოგი გოგი ხუციშვილი ჰააგის სასამართლოს მიერ ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სარჩელის დაუკმაყოფილებლობას ტექნიკური მიზეზებით ხსნის და პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავს.**

როგორც „მედიანიუსსთან" საუბარში პოლიტოლოგმა აღნიშნა, სავარაუდოდ, საქართველოს სარჩელში რაღაც ისეთი პუნქტები იყო, რის გამოც ჰააგის სასამართლომ უარი თქვა მის განხილვაზე.

— ეს დასკვნა იქიდან გამომდინარე გამომაქვს, რომ საერთაშორისო სასამართლოები პოლიტიკური მოტივით გადაწყვეტილებებს არასდროს იღებენ, — აღნიშნავს ექსპერტი

ხუციშვილის თქმით, სასამართლოს მიერ რუსეთის მხოლოდ კონფლიქტის მხარედ გამოცხადება ქართული მხარის გამარჯვებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, რადგან ეს ფაქტი კონკრეტული შედეგის მისაღებად არაფერს მოგვცემს.

— ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით, საქართველოს სარჩელის მიღების შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ გარკვეული სანქციები დაწესდებოდა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, თუმცა სასურველ შედეგს ამ შემთხვევაშიც ვერ მივიღებდით, რადგან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციების მსგავსად, რუსეთი ჰააგის სასამართლოს განაჩენის იგნორირებასაც მოახდენდა. ძალიან ძნელია რუსეთს რეზოლუციებით და სანქციები რამე გააკეთებინო. მისი მთავარი ამოცანაა სუსტი არ გამოჩნდეს. ჩემი აზრით, საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ შეთანხმებას უფრო მეტი ძალა ექნება, რადგან რუსეთი მოლაპარაკების მაგიდასთან მიღწეულ შეთანხმებას უფრო შეასრულებს, ვიდრე მისი სურვილის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციას ან რეზოლუციას, — განაცხადა „მედიანიუსთან" საუბრისას გოგი ხუციშვილმა და დასძინა, რომ საგანგაშო არც რუსეთის მეორე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაა, რომელიც საქართველოსთვის ეთნიკური წმენდის მეორედ გასაჩივრების აკრძალვას გულისხმობს,

მისი თქმით, ჰააგის სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა მხოლოდ განსახილველად მიიღო და განხილვა დადებითი გადაწყვეტილების მიღებას არ ნიშნავს.

— გამორიცხულია, ჰააგის სასართლომ რუსეთის ეს მოთხოვნა დააკმაყოფილოს და საქართველოს ეთნიკური წმენდის მეორედ გასაჩივრება აუკრძალოს. ეს იქნება მართლაც უპრეცედენტოდ უსამართლო გადაწყვეტილება და მაშინ ყველას შეექმნება



შთაბეჭდილება, რომ ჰააგის სასამართლო გადაწყვეტილებებს მართლაც პოლიტიკური მოტივებით იღებს, — აცხადებს პოლიტოლოგი. **მედიანიუსი**

# რა გაფრთხილებები მიიღეს მინისტრებმა

## სუბელიანი ყველაზე მატყუარაა

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი აცხადებს, რომ ლტოლვილთა მინისტრ კობა სუბელიანს დევნილებთან კომუნიკაციის პრობლემა აქვს. ახვლედიანის აზრით, ყველაზე დიდი ტყუილი პარლამენტში გამოსვლისას პრემიერმა ნიკა გილაურმა თქვა.**

**რა ტყუილი თქვა პრემიერმა, ვინ მოჰყვა ყველაზე შავ ზღაპრებს და გაარკვია თუ არა ოპოზიციამ, ვინ არის გოიმი?**

**„ახალი თაობა“ გიორგი ახვლედიანს ესაუბრა.**

***— „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ბაკურ კვეზერელისა და კობა სუბელიანის თანამდებობიდან წასვლას ვერ მიაღწიეთ. პარლამენტში მათი გადაყენების საკითხი სამი თვე ველარ დადგება. ამ ორ მინისტრს თანამდებობაზე ყოფნა მინიმუმ სამი თვით ხომ არ გაუხანგრძლივეთ?***

— არანაირად არ გავუხანგრძლივეთ. სამი თვე არის მხოლოდ და მხოლოდ რეგლამენტით გათვალისწინებული ვადა, რა დროსაც პარლამენტში ვერ მოხდება ამ პროცესის დაწყება, თორემ პრემიერსა და პრეზიდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი მოხსნა. პრემიერსა და პრეზიდენტს არანაირი შეფერხება არა აქვთ დაინახონ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში პროფესიონალი და კვალიფიციური კადრებია მისაყვანი, ხოლო ლტოლვილთა სამინისტროში ამდენი შეცდომის ფონზე მინისტრმა პასუხი უნდა აგოს.

***— ამ ორ მინისტრს სამი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ან პრემიერი მოხსნის?***

— წინასწარმეტყველებას არ დავიწყებ. მე, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრს და ლტოლვილთა მინისტრს გაცილებით ადრე გავუშვებდი თანამდებობდან და არც ჩავაბარებდი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობას. ადამიანი, რომელიც ლტოლვილთა მინისტრია, სერიოზული ნიჭი უნდა ჰქონდეს ადამიანებთან ურთიერთობისა და მოთმინების, რადგან საქმე ეხება 300-400 ათას უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს.

***— კობა სუბელიანს კომუნიკაციის პრობლემა აქვს?***

— ყველაფერი იწყება კომუნიკაციით, ადამიანებს არ ელაპარაკება. პარლამენტში, პროექტორზე წარმოგვიდგინეს, როგორი ოთახი მოუწყვეს დევნილებს გასაუბრებისთვის, მაგრამ ნებისმიერ დევნილს ვკითხოთ, რომელს გაესაუბრნენ და ადამიანურად მოექცნენ.

***— დეპუტატებს ყველაზე უხეშად რომელი მინისტრი პასუხობდა?***

— უხეშობის მიმართულებით უფრო უმრავლესობის წევრები გამოირჩეოდნენ და არა მინისტრები. მინისტრები, როგორც ჩანს, გაფრთხილებულები იყვნენ, რომ ემოციური თვალსაზრისით თავი არ გამოეჩინათ.

***— ეს გაფრთხილება ვინ მისცა? ინსტრუქტაჟი ვინ ჩაუტარა?***

— ინსტრუქტაჟის მიმცემთა რაოდენობა ბევრი ჰყავთ... ოპოზიცია მინისტრებისგან კონკრეტულ კითხვებზე პასუხებს ითხოვდა, მაგრამ როგორც კი დასრულდებოდა შეკითხვები, ცხადდებოდა ტექნიკური შესვენება. უმრავლესობის წევრები შემოეხვეოდნენ მინისტრებს, „დაამუშავებდნენ“, როგორ არ გაეცათ ჩვენი კითხვებისთვის პასუხი და თავი როგორ დაეძვრინათ. რა, საბავშვო ბაღია თუ რა არის? ეს შეკითხვები ჩვენი მოგონილი ხომ არ არის? ეს კითხვები საზოგადოებას აწუხებს.

***— ყველაზე დიდი ტყუილი რომელმა მინისტრმა თქვა?***

— ყველაზე დიდი, „მსუყე“ ტყუილი პრემიერმა გვითხრა.

***— რასთან დაკავშირებით?***

— როდესაც პრემიერი განაცხადებს, რომ საქართველოში ბოლო წლებში სიღარიბე 4-ჯერ დავძლიეთ, ამის შემდეგ ძალიან რომ ეცადო, სხვა უფრო სერიოზული ტყუილის თქმა ძალიან ძნელია. ტყუილები არ დაუკლია არც ლტოლვილთა მინისტრს, არც სოფლის მეურნეობის მინიტრს. ბაკურ კვეზერელი 150-მილიონიან პროექტზე საუბრობდა და აღმოჩნდა, რომ ბიუჯეტში დამატებით მხოლოდ 9 მილიონია ჩადებული. ძირითადად ტყუილებს არ გვაკლებს მიხეილ სააკაშვილი, ეს მისი მასტერკლასია. ის აძლევს მაგალითს და ტრადიციას ამკვიდრებს, როგორ არ უნდა უპასუხო კითხვებს.



**„ყველაზე მსუყე ტყუილი პრემიერმა თქვა“**

მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა და თქვა, რომ 100 საწარმო განხორციელებული პროექტია, 100 საავადმყოფო კი — წარმატებული პროექტი. თეთრზე გეუბნებიან, რომ შავია. თურმე 4-ჯერ შემცირდა სიღარიბე, სიღარიბის მიღმა პროგრამაში ადამიანები აღარ ხვდებიან, პირიქით ვარდებიან, იმიტომ რომ მდიდრდებიან. დევნილთა მინისტრს ვეუბნები, რომ ნანა ფიფიას, რომელმაც თავი დაიწვა, არასოდეს არ ჰქონია ზუგდიდში რეგისტრაცია. 1993 წელს, როგორც კი დევნილად აღიარეს, მას აქვს საბუთი, რომ თბილისში, ნაძალადევშია რეგისტრირებული. მინისტრი კი ამბობს, რომ ზუგდიდშია რეგისტრირებული და ამიტომ ვერ აძლევდა თბილისში სახლს. სუბელიანს ვეუბნები, რომ სიმართლეს არ ამბობს და ვაჩვენებ საბუთს, მაგრამ რა? მეორე ფაქტი ვუთხარი, ბერიანიძეების მრავალშვილიან ოჯახზე, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია, მათ კოტეჯი მისცეს, რომელიც ჩააბარეს, ეგონათ, 10 ათას მიიღებდნენ და სადმე სოფელში სახლს იყიდდნენ. ახლა გვეუბნებიან, რომ თურმე ისინი დევნილები არ არიან. რაღაც ზღაპრებს გვიყვებიან.

***— ყველაზე დიდ ზღაპარს რომელი მინისტრი მოყვა?***

— რა თქმა უნდა, კობა სუბელიანი, ოღონდ შავ ზღაპრებს მოყვა. განხორციელებული ქმედებების ფონზე, ეს ზღაპრები შავი და ტრაგიკული იყო.

***— თუმცა, მინისტრმა კობა სუბელიანმა განაცხადა, რომ დევნილები მესიჯებს უგზავნიდნენ, ოპოზიციამ არ დაჩაგროსო?***

— მან ეტყობა თავის მეზობლები იგულისხმა, რომლებიც ვითომ ეუბნებიან, რომ კობა, ჩვენ დევნილები ვართ, მაგრამ არ გვინდა დევნილის სტატუსი, ოღონდ შენი იყავი მინისტრი. ალბათ, ასეთი ადამიანები უმესიჯებდნენ, არიქა, ოპოზიციამ არ გაჯობოსო.

***— ისეთი მინისტრი თუ იყო, რომელიც მომზადებული მოვიდა და ოპოზიციის შეკითხვებს მეტ-ნაკლებად გასცა კომპეტენტური პასუხები?***

— კი, ასეთი მინისტრი, რომელიც ყველაზე მეტად ადეკვატურია იმ საქმის, რასაც აკეთებს, არის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი. ეს ადამიანი კარგი მეურნეა, დაუზარებლად დადის და საქმეს აკეთებს. ქრისტიან-დემოკრატებმა ნიკოლაიშვილს მივაწოდეთ ინფორმაცია სოფლის ინფრასტრუქტურის პროექტთან დაკავშირებით, რომელიც 40 მილიონის ლარის განკარგვის გაცილებით მეტი კონტროლის მექანიზმს საჭიროებს. ამ ადამიანმა გვითხრა, რომ ასეთი საკითხები შესასწავლია.

***— რაც შეეხება განათლების მინისტრს, დიმიტრი შაშკინის გამოსვლის ძირითადი ადრესატები ქრისტიან-დემოკრატები იყავით. მან თქვენი ფრაქციის წევრებს რამდენჯერმე სათითაოდ მოგმართათ. ის, რაც ოპოზიციას დიმიტრი შაშკინისთვის უნდა გეკითხათ, მინისტრმა ყველაფერზე წინასწარ ისაუბრა. ოპოზიციას დაგასწროთ თუ რა მეთოდს მიმართა დიმიტრი შაშკინმა?***

— ვერავინ ვერ დაუკარგავს იმას, რომ დიმიტრი შაშკინი პიარტექნოლოგიების კარგი მცოდნეა. თუმცა, რომ გითხრათ, რომ ჩვენ ეს ყველაფერი არ ვიცით და მაგ საკითხში დილეტანტები ვართ, ასე არ არის. პიარტექნოლოგიები ნამდვილად ვიცით. უბრალოდ, ცოტა არ იყოს, შაშკინმა გადაამლაშა.

***— რაში?***

— პიარხრიკებში. მეასედ რომ ახსენა, ნიკა ლალიაშვილის შვილი სკოლაში რომ მიდის, უკვე სასაცილო კი არა, შემაწუხებელი იყო. ცოტა გადაამლაშა. ცოტა კი არა, კარგად გადაამლაშა. საბოლო ჯამში, კითხვებზე პასუხი, რომელიც შაშკინმა ვითომ წინასწარ გაგვცა, ის ისმენდა ჩვენს პრეტენზიებს და იცოდა, რასაც ვკითხავდით.

***— თქვენ განსაკუთრებით აქტიურობდით ზოგიერთ პროფესიულ სასწავლებელთან დაკავშირებით, რომელიც გაუქმდა. მინისტრის პასუხმა დაგაკმაყოფილათ?***

— არა. როგორ შეიძლება კითხვაზე იყოს პასუხი, რატომ დაანგრიე წინამძღვრიანთკარის პროფესიული სასწავლებელი? უზარმაზარი სანერგე-სათათბურე მეურნეობით? ერთადერთი პროფესიული სასწავლებელი მთელს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში? იცით, რა მიპასუხა, იქ ავტობუსი არ მიდისო. ეს პროფესიული სასწავლებელი ტყიან ნაწილშია გაკეთებული, ტრასაზე და ავტობანზე ბავშვს სოფლის მეურნეობას ვერ ასწავლი, იქ უნდა იყოს, სადაც სასოფლო-სამეურნეო ნარგავებისა და ჩითილების გამოყვანა შეიძლება. ეს სასწავლებელი, გზიდან ოდნავ შეჭრილია, ავტობუსი რომ არ მიდის, ჩემი ბრალია? დანიშნონ ავტობუსი და არანაირი პრობლემა არ იქნება. ჯერ ერთი, უავტობუსობის პერიოდშიც, პედაგოგები და ბავშვები ამ სასწავლებელში დადიოდნენ. თუ ამ ადამიანებისთვის ხელის შეწყობა გინდა, ავტობუსი დაუნიშნე. ავტობუსის გამო პროფესიულ სასწავლებელს აუქმებ, ეს სადაური ლოგიკაა? არც პიარია და არც არაფერი.

***— კიდევ რომელ პროფესიულ სასწავლებელთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდით მინისტრთან?***

— ტყუილები იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი ჯიხაიშის უზარმაზარი, ყველაზე წელში გამართული პროფესიული სასწავლებელი არის „პეტეუ“, არასწორია. მაინცდამაინც დიმა შაშკინის შექმნილი პროფესიული სასწავლებელი თუ არ არის ყველა „პეტეუა“? კასევე კაზრეთში ჩავიდეთ და ვნახოთ ეს სასწავლებელი, მინისტრს შევთავაზე იქ ჩასვლა.

***— განათლების მინისტრი წამოგყვებათ?***

— არ ვიცი, ვნახოთ. თუ არ წამომყვება, მე მაინც, უკვე მერამდენედ ჩავალ.

***— თქვენმა ფრაქციამ მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობის გადადგომის საკითხი დასვით. გიორგი თარგამაძემ სხდომაზე იკითხა: ახლა ვინ არის გოიმი — ჩვენ თუ თქვენო? ეს საკითხი გაარკვიეთ?***

— ბუნებრივია, ეს ძალიან კარგად წარმოაჩინა საპარლამენტო დებატებმა. ერთ რაღაცას გაგახსენებთ, მთელი ამ წლების მანძილზე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეუბნებოდით, რომ სერიოზული ყურადღება მივაქციოთ და ფინანსები ჩავდოთ მარცვლეული კულტურების მარაგისა და რეზერვის შექმნაში. 1998 წელს 4-ჯერ უფრო მეტი სიმინდი და ხორბალი დაითესა ქვეყანაში, ვიდრე 2010 წელს. არ შეიძლება ასე მიაგდო მეხორბლეობა და მესიმინდეობა და ჰაერში დატოვო, რადგან პური თუ გაძვირდა, ყველაფერი გაძვირდება. დღევანდელი ხელისუფლება გვეუბნებოდა: თქვენ ხართ გოიმები, რას ლაპარაკობთ, ჩვენ სინგაპური უნდა ავაშენოთ. რა სოფლის მეურნეობა, რის სოფლის მეურნეობაო? რატომ უნდა დავთესოთ სიმინდი და ხორბალი და ამაში ფული რატომ უნდა ჩავდოთ, როდესაც ხორბალი გაცილებით იაფად შემოგვაქვს უცხოეთიდანო? ვეუბნებოდით, რომ თუ რეზერვი არა გაქვს, საერთაშორისო ბაზარზე პატარა რყევა ისეთ კრიზისში შეგიყვანს, რომ ყველაფერს დაგავიწყებს, სასურსათო მიმართულებით უსაფრთხოება დაგვენგრევა. არ დაგვიჯერეს. შარშან რუსეთში ხანძარი იყო, რუსეთმა ექსპორტზე აღარ გაიტანა ხორბალი და სიმინდი და უცებ გაიზარდა ფასები. სოფლის მეურნეობის მინისტრი და პრეზიდენტი ყოველგვარი ბერკეტის გარეშე, მოუმზადებლები დახვდნენ ამ კრიზისს. პრეზიდენტმა გამოგვიცხადა, ჩინელებმა ჭამა დაიწყეს, ეს თურმე ჩვენ აქამდე არ ვიცოდით. როდესაც ვეუბნებოდით, რომ ადგილობრივი წარმოება აამუშავე და რეზერვი გქონდეს, მაშინ არ გვიჯერებდნენ. ახლა გამოვლინდა, ვინ არის გოიმი და ვინ — არა.

***— ესე იგი, დებატების ბოლოს გაარკვიეთ, ვინ არის გოიმი და ვინ არა?***

— ეს გაირკვა. კიდევ ერთი, სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ 150 მილიონი ლარით დაეხმარება სოფლის მეურნეობას, აღმოჩნდა, რომ ესეც არ გააკეთეს. დამატებით მხოლოდ 9 მილიონი ლარი გამოყვეს ბიუჯეტიდან.

# რა შეცდომა დაუშვა საქართველომ ჰააგაში

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რომ ხელისუფლებამ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ბურჯალიანს ეს საქმე ერთპიროვნულად მიანდო. ის თავს საერთაშორისო სამართლის დიდ სპეციალისტად კი მიიჩნევს, მაგრამ როგორც ეტყობა სულ ამაოდ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამეტი საერთაშორისო ასპარეზზე ამ საქმის სპეციალისტების გარეშე პრაქტიკულად ერთ ნაბიჯსაც არ დგამს. ქალბატონ ბურჯალიანს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომუშავე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისთვის ერთხელ მაინც რომ მოემართა, ჩვენ შექმნილი ვითარებიდან ოპტიმალურ გამოსავალს შევთავაზებდით და რაც მთავარია, კვალიფიციურ რჩევას მივცემდით.

ხელისუფლება ახლა უხერხულ მდგომარეობაშია. მე ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთა მხრიდან ამ საქმეზე ასე ნაჩქარევ კომენტარებს არ გავაკეთებდი. პატივს ვცემ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, მაგრამ მათ კომენტარები ჰააგიდან, ანუ იგივე ბურჯალიანის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე აკეთეს.

სხვათა შორის, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მან რუსეთთან მიმართებაში საქმიანობა საკმაოდ გააქტიურა. ზოგი უკიჟინებდა, რომ იგი ურთიერთობას ამწვავებდა. ჩემი აზრით, იმ ვითარებაში, რომელშიც ჩვენ თუნდაც 2008 წლის აგვისტომდე ვიყავით და ახლა ვართ, რუსეთთან სხვაგვარი საუბარი წარმოუდგენელია, თუნდაც ოპოზიციის ზოგიერთი წევრის კრიტიკისა და მოსკოვში სირბილის ფონზე.

***— როგორია ქართული მხარის სარჩელზე გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგები?***

— საწყენი ის არის, თუ რას და როგორ დამცინავად წერს მომხდარზე უცხოური პრესა. სხვათა შორის, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე უფრო თავშეკავებული შეფასებები რუსულ პრესაშია. კრიტიკის მიუხედავად, ჩემი აზრით, ტრაგიკული არაფერი მომხდარა. ეს პროცედურული საკითხია. სასამართლომ საქმე არსებითი განხილვისათვის წარმოებაში არ მიიღო, რადგან საქართველომ არ შეასრულა ის პირობები, რომელიც გათვალისწინებულია იმ კონვენციით, რომლის ძალითაც ჩვენ შევეცადეთ სასამართლოში რუსეთის მოყვანას.

მომავალში სასამართლოში რუსეთის მიყვანა შეიძლება ორი გზით — უნდა დაიწყო ეს პროცესი რასობრივი დისკრიმინაციის კომიტეტში, სადაც ამ საკითხის განხილვა სულ მცირე 2 წელი გაგრძელდება; თუ ამ კომიტეტში შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მერე შეიძლება მიმართო სასამართლოს. მეორე ვარიანტია — მიმართო სასამართლოს, მაგრამ სასამართლო იტყვის — კი ბატონო, ჰუმანიტარული სამართალი დარღვეულია, მე ამ საკითხს განვიხილავ, მაგრამ ამისათვის რუსეთის თანხმობაა საჭირო. რუსეთის პასუხი ასეთი იქნება ამაზე მე თქვენ თანხმობას არ მოგცემთ. ეს არის ის ნიუანსები, რომელიც საქართველომ არ გაითვალისწინა.

საქართევლოს პრეზიდენტი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია და არ მახსოვს, რომ მას ამის მსგავსი შეცდომა დაეშვა. პირიქით, როცა საჭიროა, ამას ყოველთვის არგუმენტირებულად აკეთებს. გაუგებარია, როდესაც ხელქვეითმა წინასწარ იცის, რომ რისკი არსებობს, მაგრამ მაინც ძვირადღირებულ ადვოკატებს ქირაობს. ჩვენი მხარის მიერ დაქირავებული ადვოკატების პროფესიონალიზმში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც მაღალკვალიფიციური ადვოკატიც უძლურია.

მე იშვიათად ვაკეთებ ასეთ განცხადებებს, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა. როდესაც ქვეყნის ინტერესები საფრთხის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაწყვეტილებები არაკომპეტენტურმა ჩინოვნიკმა მიიღოს. სასამართლომ პროცედურული გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ამ საკითხის იქამდე გაბერვა შეიძლება, რომ მერე ქვყენის მტერმაც და მოყვარემაც თქვას — აი, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხზე საქართველომ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოში საქმე წააგო.

**ინტერპრესნიუსი**

# ოფიციალური მოსკოვი ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია

„საქართველომ სასამართლო დავის ინიცირება ხელოვნურად მოახდინა, რომლის მიზანი იყო, საერთაშორისო საზოგადოებას ყურადღება არ მიექცია საქართველოს მიერ ჩადენილ საერთაშორისო სამართლის დარღვევებისათვის. მოსკოვი მიესალმება გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, უარი თქვას საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვაზე, — ნათქვამია რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში.

საქმეს უკვე მოგებულად მიიჩნევს ნიდერლანდებში რუსეთის ელჩი რომან კოლოდკინი. მისი თქმით, იგი მოხარულია, რომ ჰააგის სასამართლო სწორ გადაწყვეტილებამდე მივიდა და საქმე წარმოებაში არ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, რუსეთის შუამდგომლობა გაიზიარა, რომლის მიხედვითაც, სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს თბილისის მიერ მოსკოვის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი. ამის შესახებ ჰააგის სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

ცნობისთვის: 2008 წლის 12 აგვისტოს შეტანილ სარჩელში საქართველო ამტკიცებს, რომ რუსეთმა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ჩუღ3) 1965 წლის საერთაშორისო კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე პერიოდში სამ სხვადასხვა დროს დაარღვია, როდესაც მან აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ ინტერვენციები განახორციელა.

**მედიანიუსი**

# საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ზუსტი რაოდენობა უცნობია

სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზებია, ამავდროულად, კანონი შეუსაბამობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

ანგარიშში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს დღემდე არ მოუხდენია გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა დაცვის კონვენციის რატიფიცირება, რომელსაც ხელი 2009 წლის 10 ივლისს მოეწერა. ასევე, დღემდე არ შეკრებილა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო.

— შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვას განსაკუთრებით აფერხებს ის, რომ სახელწიფოს არ გააჩნია ზუსტი სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია საქართველოში. არსებული მონაცემები ეყრდნობა პენსიის მიმღებ პირთა რაოდენობას და 2010 წლის მონაცემებით შეადგენს 138 614 შშმ პირს, რაც რეალობასთან შეუსაბამობაშია, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები სხვა ქვეყნების მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს წარმოადგენს, — ნათქვამია ომბუდსმენის ანგარიში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ხშირად ექმნებათ დაბრკოლებები ჯანმრთელობის უფლების დაცვისას. გარდა ამისა, სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ ანგარიშში საუბარია გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. კერძოდ, საქართველოს არცერთ ქალაქში ფიზიკური გარემო არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მინიმალურ საჭიროებებს. შენობა-ნაგებობები, საზოგადოებრი ტრანსპორტი, ფეხით მოსიარულეთა ბილიკები და ქუჩებზე გადასასვლელები არ არის ადაპტირებული.

— ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობა შემდეგი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა: სახელმწიფო ვერ ან არასრულად ასრულებს საერთაშორისო სამართლითა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხში,— აღნიშნულია ანგარიშში.

ომბუდსმენი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, სახელმწიფოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად უახლოეს მომავალში მოახდინოს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება.

**მედიანიუსი**

# უპატრონო ცხოველთა საერთაშორისო დღე აღინიშნება

2011 წლის 4 აპრილიდან, ყოველწლიურად მსოფლიოში, უპატრონო ცხოველთა საერთაშორისო დღე აღინიშნება.

მსოფლიოში 1000 მილიონი უპატრონო ცხოველია, რომლებსაც ყურადღება და დახმარება სჭირდებათ.

დღეს საქართველოში მოქმედი, ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები ცხოველთადამცველებსა და ცხოველთამოყვარულებს თბილისში, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან მდებარე სკვერში აქციაზე იწვევენ.

არასამთავრობოები ცხოველთა დახმარების მიზნით, აღნიშნული აქციით საკვების, მედიკამენტებისა და საჭირო ინვენტარის შეგროვებას გეგმავენ. აქციაზე მისული ადამიანბის მიერ შეწირული თანხები, საკვები და სხვა საშუალებები ამ ორგანიზაციების თავშესაფრებზე გადანაწილდება, რათა მოხდეს უპატრონო ცხოველების დახმარება.

ასევე, ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების: ,,საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოებას“, ,,თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების გადარჩენის და დაცვის ასოციაციასა“ და ,,სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოებას“ შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდება.

აქციის მონაწილეეები ხელს მოეწერენ მიმართვას.

აღნიშნულ აქციაზე, თავშესაფრების ბინადარ ცხოველთა ფოტოგამოფენაც მოეწყობა. შეკრებაზე, გაჩუქების მიზნით, თავშესაფარებიდან და ქუჩიდან უპატრონო ცხოველებს მიიყვანენ.

აქციის ორგანიზატორები უპატრონო და უსახლკარო ცხოველების დასახმარებლად საზოგადოებას კეთილი ნების გამოჩენისაკენ მოუწოდებენ.

**მედიანიუსი**

# „ფუკუსიმას“ რეაქტორზე ბზარის ამოვსებას ცდილობენ

ატომური ელექტროსადგურის, „ფუკუსიმას“ ოპერატორებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს ერთ-ერთი ენერგობლოკის საძირკველში არსებული ბზარის ამოქოლვა, საიდანაც გარემოში რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყალი ხვდება.

კომპანია „ტოკიო ელექტრიქ ფაუერსის“ წარმომადგენლებმა მეორე ენერგობლოკის საძირკველში აღმოჩენილ ბზარში ცემენტის ხსნარის ჩასხმის გეგმების შესახებ ისაუბრეს, მაგრამ ჯერჯერობით მიზანს ვერ მიაღწიეს.




ამჟამად ისინი ბზარის პოლიმერული ადსორბენტით ამოვსებას ცდილობენ.

იაპონიის ხელისუფლების განცხადებით, შემოწმებამ ატომურ ელექტროსადგურში რადიოაქტიური ნივთიერებების გაჟონვის სხვა წყარო ვერ აღმოაჩინა.

იმავდროულად, „ფუკუსიმას“ ატომურ ელექტროსადგურში აღმოაჩინეს სადგურის ორი თანამშრომლის გვამი, რომლებიც 11 მარტს, მიწისძვრისა და მისი მომდევნო ცუნამის დროს, სადგურის შიგნით იმყოფებოდნენ.

გვამები ოთხშაბათს აღმოაჩინეს, მაგრამ მათი დეაქტივაციის აუცილებლობის გამო ინფორმაცია მაშინვე არ გაუვრცელებიათ.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლები მრავლობითი ჭრილობებით გამოწვეული სისხლის დაკარგვის გამო გარდაიცვალნენ.

კვირას დაგეგმილი იყო აგრეთვე იაპონელი და ამერიკელი სამხედროების ერთობლივი ოპერაცია სანაპირო წყლებში დაღუპულთა გვამების მოძებნის მიზნით.

ბოლო ორი დღის განმავლობაში იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კიდევ 60 დაღუპულის გვამი იპოვეს. დაღუპულთა საერთო რიცხვმა 12 ათასს მიაღწია. 16 ათასამდე ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

რადიაციასთან დაკავშირებული საფრთხის გამო ძებნა არ წარმოებს ატომური ელექტროსდგურის გარშემო არსებულ გაუცხოების 20-კმ-იან ზონაში, სადაც, სავარაუდოდ, ათასამდე ადამიანი შეიძლება იყოს დაღუპული.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# რას დაუპირისპირებს სოხუმი მოსკოვს

**ქართულ, რუსულ და აფხაზურ პრესაში მოსკოვისა და სოხუმის ურთიერთობები აქტიურად განიხილებოდა. რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობები ბოლოს ალიან საინტერესოდ ვითარდება, რაც აფხაზების სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. ამ უკმაყოფილებაზე აფხაზები არ საუბრობდნენ, რადგანაც აქამდე რუსეთი ღიად არ აცხადებდა ტერიტორიულ პრეტენზიებს. რამდენიმე კვირის წინ ოპოზიციონერმა ჟურნალისტმა ინალ ხაშიგმა სკანდალური ცნობა გაავრცელა. მან ღიად დაწერა ის, რასაც აფხაზები უკვე დიდი ხანია ელოდნენ.**



**თეა მარხვაი ე**

აფხაზმა ჩინოვნიკებმა ხაშიგს აუწყეს, რომ რუსეთი მათგან თითქმის მთელ გაგრას ითხოვს. იმ დღიდან მოყოლებული, ეს თემა ძალიან აქტიურად განიხილება. მასზე უკვე უცხოურმა გამოცემებმაც დაიწყეს წერა.

გასულ კვირას მოსკოვში რუსებმა და აფხაზებმა მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი გამართეს, სადაც აფხაზებისთვის მეტად მტკივნეული საკითხი განიხილებოდა. ჭორების გავრცელებას ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ მიღწეული შეთანხმების დეტალები არ ხმაურდება.

ამ თემას ეხმაურება რადიო „თავისუფალი ევროპა“. მასალას ბრიან ვაითმორი გვთავაზობს, მისი თარგმანი კი საიტ „ფორეიგნპრესზეა“ განთავისებული.

— როდესაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ძალიან მცირე რაოდენობის ქვეყნებმა მიბაძეს მის მაგალითს, მაგრამ, ამის მიუხედავად, სოხუმი ზეიმობდა და მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული. დღეს ბევრი აფხაზი დაფიქრდა — ხომ არ აღმოჩნდება მოსკოვის მხარდაჭერის საფასური, ცოტა არ იყოს, ზედმეტად მაღალი? ამ კვირას მოსკოვში საზღვრების დამდგენი რუსულ-აფხაზური ერთობლივი კომისია შეიკრიბა და ტერიტორიის მცხოვრებლები სულ უფრო მეტად შფოთავენ იმ ცნობების გამო, რომელთა თანახმად, რუსეთი ცდილობს, აფხაზური ტერიტორიის 160 კვადრატული კილომეტრის ანექსირება მოახდინოს, — გვაუწყებს ბრიან ვაითმორი.

ის ოპოზიციურ აფხაზურ გაზეთ „ახალ დღეში“ გამოქვეყნებულ სტატიასაც იხსენებს. ოპოზიციური გამოცემა ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში იუწყებოდა, რომ რუსეთმა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას წინადადებით მიმართა და მას გაგრის რეგიონში ტერიტორიის ზოლის დათმობა სთხოვა.

ტერიტორია, რომელზეც ლაპარაკი მიმდინარეობს, მდინარე ფსოუს მთიანი სივრცეა და სწორედ ის ქმნის აფხაზეთსა და რუსეთს შორის ბუნებრივ საზღვარს. ის რუსულ სათხილამურო კურორტ „კრასნაია პოლიანასთან“ სიახლოვეს მდებარეობს, ადგილთან, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საკვანძო როლს ასრულებს.

რადიო „ეხო კავკაზას“ ეთერში გამოსვლისას (ეს რადიო მაუწყებლობს აფხაზეთსა და საქართველოს კიდევ ერთ სეპარატისტულ რეგიონში, სამხრეთ ოსეთში) ცნობილმა სოხუმელმა ჟურნალისტმა ინალ ხაშიგმა განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, მოსკოვის წინადადება პირველი ნაბიჯია, რომელზეც საბოლოოდ უარს იტყვის მიწის უფრო პატარა მონაკვეთის, მდინარე ფსოუზე მდებარე აფხაზური სოფლის, აიბგას, დათმობის სანაცვლოდ.

ხაშიგის თქმით, ნებისმიერი ტერიტორიული დათმობა, მისი სიმცირის მიუხედავად, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისა და ტერიტორიის პოლიტიკური ელიტის უდრეკ წინააღმდეგობას გადააწყდება.

საზოგადოებრივი აზრი ეწინააღმდეგება არა მარტო 160 კვადრატული კილომეტრის, არამედ, თუნდაც 10 კვადრატული მეტრის დათმობას. ეს პრინციპის საკითხია. ეს აფხაზური მიწაა და ჩვენ არ ვაპირებთ თუნდაც ერთი მეტრის დათმობას. მე ვიყავი სოხუმის ცენტრში და ხალხი უკვე აგროვებს ხელმოწერებს ამის წინააღმდეგ. აფხაზური საზოგადოება ძალიანაა შეშფოთებული ამ ფაქტით.



მოგვიანებით რადიო „თავისუფლების“ რუსული სამსახურის ეთერში ხაშიგმა განაცხადა, რომ უთანხმოება აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტს გამოუვალ ვითარებაში აყენებს: ნებისმიერი ტერიტორიული დათმობა მისი მხრიდან შეიძლება ქვეყნის დესტაბილიზაციითა და მისი შესაძლო გადადგომით დასრულდეს, მაგრამ, თუ (მოსკოვის მოთხოვნას) არ დაჰყვა, რუსეთი შეიძლება განაწყენდეს და აქვე ბალაფშს პრობლემა შეექმნება — აფხაზეთის ბიუჯეტის 70%-ს რუსული სუბსიდიები შეადგენს და, თუ ბალაფში ამას დაკარგავს, ყველაფერი ისევ მისი გადადგომით შეიძლება დასრულდეს.

თუ ყველაფერი ასე მოხდა, მართლაც ირონიული შემობრუნება იქნება. 2004 წელს აფხაზმა ამომრჩევლებმა უარი უთხრეს მოსკოვის მიერ შერჩეულ კანდიდატს, სუკის ყოფილ ოფიცერ რაულ ხაჯიმბას, რომელიც ბალაფშმა სერიოზულად დაამარცხა.

რადიო „თავისუფლების“ რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში ივლიანე ხაინდრავამ, „განვითარებისა და თანამშრომლობის თბილისური ცენტრის“ სამხრეთ კავკასიის პროგრამების დირექტორმა, განაცხადა, რომ ტერიტორიის მიტაცების მცდელობამ შეიძლება აფხაზებში ანტირუსული განწყობების ინტენსიფიკაცია გამოიწვიოს:

— აფხაზური საზოგადოება იზრდება და, არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს პროცესი, თუ ის გაგრძელდება, უმტკივნეულო იქნება. შესაძლებელია ხალხმა აფხაზეთში გააცნობიეროს, რომ საფრთხე ჩრდილოეთიდან (რუსეთის საფრთხე) შეიძლება უფრო სახიფათო იყოს, ვიდრე სამხრეთის (საქართველოს) საფრთხე. რა თქმა უნდა, ეს უცებ არ მოხდება, მაგრამ აქცენტები თანდათანობით შეიცვლება. რუსეთის ოფიციალურ პირებს საჯაროდ უთანხმოებაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ, მაგრამ ამ ბოლო დროს რუსეთის დომინირებასთან დაკავშირებით გაჩენილი შიში, ფაქტობრივად, ახალი არ არის. 2009 წლის ივნისში მე აფხაზეთში ვიყავი და დაჩქარებული რუსიფიკაციის ნიშნები ყველგან ჩანდა. მაგალითისთვის, აფხაზეთის მოსახლეობის 90%-ზე მეტს აფხაზური პასპორტები აქვს. ტერიტორიის ოფიციალური ვალუტა რუსული რუბლია. რუსული ენა დომინანტური ენაა. ყველგანაა რუსული დროშები, სატელევიზიო ეთერში მთავარი რუსული ტელევიზიებია და რუსული გაზეთები საყოველთაოდაა გავრცელებული.

მოსკოვი საპორტო ქალაქ ოჩამჩირეში საზღვაო ბაზას აშენებდა, რუსული ბიზნესი ნთქავდა სოხუმის სანაპირო ზოლზე განთავსებულ უძრავ ქონებას, რუსეთის სახელმწიფო კომპანია „როსნეფტმა“ აფხაზეთის საზღვაო ნავთობის საბადოების კვლევისა და დამუშავების უფლება მოიპოვა, ხოლო საეჭვო პირობამ, რომელმაც აქ მომსახურე რუს ჯარისკაცებს ქონების შეძენის უფლება მისცა, ოპოზიციის გმინვა გამოიწვია.

—□მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, რუსეთი გვნთქავს, — მითხრა მაშინ ხაშიგმა, — ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო თვალსაზრისით და სოციალურადაც. ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო დამოკიდებულები ვხდებით.

ამავე დროს, ბევრი აფხაზი სიამაყით ყვება, თუ რამდენჯერ ატეხეს სისხლიანი ამბოხი მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მათმა წინაპრებმა. ყველაზე მასშტაბურები მათ შორის 1866 და 1877 წელს იმით დასრულდა, რომ ასობით ათასი აფხაზი დეპორტირებულ იქნა ძირითადად გაგრის იმ რეგიონიდან, რომელიც დღეს რუსეთის ცხოველი სურვილის ობიექტს წარმოადგენს.

ოფიციალური სოხუმი ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთებას ერიდება. აფხაზეთში რუსეთის ელჩის მოთხოვნით ყველა დოკუმენტაცია გასაიდუმლოებული ყოფილა.

აფხაზურ მედიაში გავრცელებული ცნობით, ამის გამო ძალიან არის შეწუხებული ბალაფში. მას პირობა დაუდია, თავს შევაკლავ და ამ მიწას არ დავთმობო. ღიად ბალაფშს არაფერი უთქვამს. ეტყობა, ამირანივით გულში მღეროდა.

და კიდევ ერთი, როცა ეს ამბები ატყდა, სერგეი ბალაფში მოულოდნელად 2 კვირით შვებულებაში გავიდა. აფხაზური ოპოზიცია იმასაც არკვევს, რა ეშვებულებოდა შუაგულ მარტში ბალაფშს.

# გვატემალის პირველი ლედი ქმარს ვერ ეყრება

გვატემალის სასამართლომ ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი მეუღლის განქორწინების პროცესის შეჩერების განკარგულება გასცა.

გვატემალის პირველმა ლედიმ სანდრა ტორესმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ქმართან, ალვარო კოლომთან განქორწინებას აპირებს, რადგან პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოყენება სურს.




გვატემალის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოს მეთაურის ახლო ნათესავებს მისი პოსტისათვის ბრძოლა აკრძალული აქვთ.

სასამართლოს განქორწინების ამ პროცესის შეჩერების პეტიციით სტუდენტების ჯგუფმა მიმართა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს პროცესი ფარსია და ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

სანდრა ტორესმა გასულ კვირას გამოაცხადა, რომ ბედნიერ ქორწინებას ქვეყნის მომავლისათვის არღვევს.

„მე ქმარს ვეყრები, მაგრამ ხალხს მივყვები ცოლად", — გამოაცხადა მან პრესკონფერენციის დროს.

პრეზიდენტისა და მისი მეუღლის განქორწინების გადაწყვეტილებამ ქვეყანაში განხეთქილება გამოიწვია. მის წინააღმდეგ კათოლიკური ეკლესია და ოპოზიცია გამოდიან.

პრეზიდენტის არჩევნებში ოპოზიციის მთავარმა კანდიდატმა, გადამდგარმა გენერალმა ოტო პერეზ მოლინიამ ამ პროცესს თაღლითობა უწოდა.

სასამართლოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ განქორწინების პროცესი სტუდენტების პეტიციის მიღების შემდეგ არის შეჩერებული.

მოსამართლე მილდრედ როკამ პარასკევს განაცხადა, რომ ანონიმური მუქარა მიიღო და მისგან განქორწინების აკრძალვას მოითხოვენ.

შანდრა ტორესი პრეზიდენტზე გათხოვებამდე ერთხელ იყო გათხოვილი. ალვარო კოლომი მის შერთვამდე ორჯერ იყო დაქორწინებული. მათ რვა წლის წინ იქორწინეს.

## ხასიათ თუ ასა ჰიაქტიპული




***1. რას ამჯობინებთ მატარებლით შორ მანძილზე მგზავრობის დროს?***

ა. კითხვას. ბ. თანამგზავრთან საუბარს. გ. ძილს.

***2. რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ადამანებთან კარგი ურთიერთობა თუ თვითგამოხატვის შესაძლებლობა?***

ა. პირველი. ბ. რაღაც საშუალო გ. მეორე.

***3. შეგიძლიათ თუ არა, ადამიანის სახის გამომეტყველებით მიხვდეთ, რას ფიქრობს იგი?***

ა. დიახ. ბ. ზოგ შემთხვევაში. გ არა.

***4. როგორ გგონიათ, არის თუ არა საჭირო ყოველდღიური მოსაწყენი საქმეების ბოლომდე მიყვანა?***

ა. გარემოებებს გააჩნია. ბ. რა საჭიროა? გ. აუცილებლად.

***5. თუ დაიწყებთ იმ იდეის რეალიზებას, რომელიც არარეალურად მიგაჩნიათ?***

ა. არა. ბ. იქნებ გამიმართლოს. გ. დიახ.

***6. სულიერი ფასეულობები გაინტერესებთ თუ მატერიალური?***

ა. საქმიანი ადამიანი ვარ. ბ. მიჭირს პასუხის გაცემა. გ. სულიერი უფრო მნიშვნელოვანია.

***7. რას იტყვით მეგობრებთან უაზრო ლაყბობაზე?***

ა. მაღიზიანებს. ბ. ხანდახან სასარგებლოა. გ. სავსებით ნორმალურია.

**პასუხები**

**7-11 ქულა:** საქმიანი ადამიანი ხართ, არ გიყვართ ტყუილად დროის კარგვა, თითოეული სიტუაციიდან მაქსიმალური მოგების მიღებას ცდილობთ.

**12-16 ქულა:** ვერ ვიტყვით, რომ რეალობას სავსებით ხართ მოწყვეტილი. საკმაოდ რაციონალურად ირჯებით, თუმცა, მატერიალური საწყისი თქვენთვის უმნიშვნელოვანესი არ არის.

**17-21 ქულა:** მეოცნებე ხართ, თქვენი შინაგანი სამყარო გარემო სამყაროზე უფრო მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ.

# აზერბაიჯანში ოპოზიციის გამოსვლა დაარბიეს

აზერბაიჯანის პოლიციამ ბაქოს ცენტრში ოპოზიციის მიერ გამართული მანიფესტაცია, რომლის მონაწილეებიც დემოკრატიულ ცვლილებებს ითხოვდნენ, ძალის გამოყენებით გაფანტა.




საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, 300-მდე აქტივისტმა შადრევნების მოედანზე მოიყარა თავი და დედაქალაქის ქუჩებში გაიარა, მაგრამ შემდეგ ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციის პირისპირ აღმოჩნდა.

აზერბაიჯანის შსს-ს მონაცემებით, ბაქოში დაკავებულია 75 ადამიანი, რომლებსაც სხვისი საკუთრების წახდენისა და პოლიციელებისათვის სხეულის დაზიანების მიყენება ბრალდებათ.

იმავდროულად, ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დაკავებულია 200-მდე ადამიანი.

დემონსტრანტები გამოსული იყვნენ პლაკატებით: „თავისუფლება გვინდა" და „ილჰამ, წადი!".

ამ პლაკატით ისინი ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მიმართავდნენ, რომელიც აზერბაიჯანს 2003 წლიდან, მამის, ჰეიდარ ალიევის გარდაცვალების შემდეგ მართავს.

ოპოზიციაზე ტუნისისა და ეგვიპტის მაგალითმა იმოქმედა, სადაც მასობრივი გამოსვლების შემდეგ ქვეყნის ავტორიტარული ლიდერები იძულებული გახდნენ, წასულიყვნენ.

ოპოზიციური მუსავატური პარტიის ლიდერმა ისა გამბარმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანში ფუნდამენტური ცვლილებები გარდაუვალია.

იგი საპროტესტო გამოსვლების გაგრძელებას აპირებს და მომავალი მიტინგი ერთი კვირის შემდეგ, 9 აპრილს არის დაგეგმილი.

ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიის, „ენი აზერბაიჯანის" წარმომადგენლებმა ოპოზიციის გეგმები სკეპტიკურად შეაფასეს. მათი აზრით, აქციამ ოპოზიციის მარცხი წარმოაჩინა და აზერბაიჯანელი ხალხი რადიკალებს მხარს არ უჭერს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა შაბათს გამართული დემონსტრაციის დარბევა და ოპოზიციის წარმომადგენელთა დაპატიმრებები დაგმეს.

# აშშ-ში ყურანის დაწვის შემდეგ ავღანეთში გაეროს მისიის თანამშრომლები დახოცეს

ავღანეთში ქალაქ ყანდაარისა და ჯალალაბადის ქუჩებში აშშ-ში ყურანის დაწვის პროტესტის ნიშნად ასეულობით დემონსტრანტი გამოვიდა.

საპროტესტო აქციები პარასკევს ქალაქ მაზარი შარიფში დაიწყო, სადაც განრისხებული




მუსლიმანების ბრბომ იერიშით აიღო გაეროს წარმომადგენლობის შენობა. აქ გამოსვლები ფართოვდება.

მაზარი შარიფში 14 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის — გაეროს მისიის თანამშრომლები.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ დაგმო აშშ-ში ყურანის დაწვის ფაქტი, როგორც რელიგიური არატოლერანტულობისა და შეზღუდულობის გამოვლინება, იმავდროულად, ავღანეთში მომხდარ მკვლელობებს „აღმაშფოთებელი" უწოდა.

შაბათს ყანდაარში მომხდარი მღელვარების შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე ათეული დაშავდა.

კვირას ყანდაარში გამოსვლები გრძელდებოდა. მონაწილეებმა გაეროს წარმომადგენლობასთან საპროტესტო მსვლელობა გამართეს. ეს ქალაქი თალიბების ძირითად დასაყრდენად ითვლება. ვრცელდება ინფორმაცია ყანდაარის ოლქის სხვა ქალაქებში მიმდინარე გამოსვლების შესახებ.

საპროტესტო გამოსვლები გაიმართა აგრეთვე ავღანეთის აღმოსავლეთით, ქალაქ ჯალალაბადში, სადაც ასეულობით ადამიანმა მთავარი მაგისტრალი გადაკეტა.

ისინი ანტიამერიკულ ლოზუნგებსა და ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანის ლოზუნგებს გაიძახოდნენ, გარდა ამისა, მათ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას ფიტული დაწვეს.

გაეროს მთავარმა წარმომადგენელმა ავღანეთში შტეფან დი მისტურამ მაზარი შარიფში მომხდარი ტრაგედიის მთავარი პასუხისმგებლობა დააკისრა ამერიკელ პასტორს, რომელმაც 20 მარტს ფლორიდის შტატში ყურანი დაწვა.

გაერომ მაზარი შარიფის წარმომადგენლობის 11 თანამშრომელი დროებით ქაბულში გადაიყვანა. დე მისტურამ განაცხადა, რომ მაზარი შარიფის გაეროს წარმომადგენლობის ევაკუაცია დაგეგმილი არ არის.

ამერიკელმა პასტორმა უეინ საპმა 20 მარტს ყურანს ნავთი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა მას. წინასწარ მან ისლამი „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის" დაგმო.

ყურანის დაწვის აქტს ესწრებოდა პასტორი ტედი ჯონსი, რომელმაც ჯერ კიდევ გასულ წელლს განაცხადა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით ყურანის დაწვა ჰქონდა გადაწყვეტილი. მისმა განცხადებებმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

ყანდაარისა და მაზარი შარიფის ხელისუფლებმა ძალადობის აფეთქების პასუხისმგებლობა თალიბებს დააკისრეს, მაგრამ მოძრაობა თალიბანის წარმომადგენლებმა ეს ბრალდებები უარყვეს.

თვითმხილველების თქმით, გამოსვლა მაზარი შარიფში თავდაპირველად მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად ძალადობრივი ხასიათი მიიღო.

აქციის მონაწილეებმა გაეროს მისიის წინ მოედანზე მოიყარეს თავი, შემდეგ მათ მცირე ჯგუფი გამოეყო.

მცველებმა მათ ესროლეს და რამდენიმე დემონსტრანტი მოკლეს, რის შემდეგაც ბრბო შენობაში შეიჭრა. ბალჰის პროვინციის ხელისუფლების განცხადებით, მათ დაცვა განაიარაღეს, დახოცეს ოთხი ნეპალელი მცველი, აგრეთვე მისი ნორვეგიელი, რუმინელი და შვედი თანამშრომლები.

# მეცნიერები უძველესი ხელნაწერების მნიშვნელობაზე დავობენ

როგორც მედიასაშუალებები იუწყებოდნენ, იორდანიაში ნაპოვნი ლითონის წიგნი მსოფლიოში უძველესი ქრისტიანული დოკუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს.



ტყვიის ფირფიტებზე ძველებრაულ და არამეულ ენებზე შესრულებული წარწერები საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა იორდანიის ერთ-ერთ მიყრუებულ ადგილას მდებარე უდაბნოში. ხუთი წლის წინ იგი შემთხვევით ბედუინმა აღმოაჩინა. ბრიტანელ ეგვიპტოლოგ დევიდ ელკინგტონის აზრით, წიგნის ფურცლებზე გამოსახული ჯვრებისა და ტექსტის ანალიზის საფუძველზე მან ივარაუდა, რომ ნაპოვნი არტეფაქტი ძველქრისტიანული ტექსტების კრებულს წარმოადგენს და შესაძლოა ახალი აღქმის ტექსტებზე უფრო ადრეულია. იმავდროულად, ელკინგტონის მოსაზრებებს ყველა სპეციალისტი არ იზიარებს. „ბაბლიქალ არქეოლოჯი რევიუს" რედაქტორ ჰერშალ შანქსის თქმით, ქრისტიანები ჯვარს, როგორც სიმბოლოს, IV საუკუნემდე არ იყენებდნენ.

უფრო ზუსტი შედეგი წიგნების ლითონის ანალიზმა შეიძლება მოგვცეს. გავრცელებული ცნობების თანახმად, ხელნაწერები ისრაელში მცხოვრებ ბედუინთან ინახება, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ ხელნაწერებს მისი ოჯახი უკვე ას წელზე მეტი ხანია ფლობს. ელკინგტონს ამ ინფორმაციის მართებულობაში ეჭვი ეპარება და აცხადებს, რომ ტექსტები იორდანიიდან ისრაელში გადაიტანეს, გამოქვაბულში პოვნის შემდეგ.

იმავდროულად, გავრცელებული ცნობების თანახმად, იორდანია ხელნაწერის უკან დაბრუნებას ცდილობს. ადგილობრივი კანონების მიხედვით, სახელმწიფოს უფლება აქვს, თავი მის ტერიტორიაზე ნაპოვნი ისტორიული ძეგლების მფლობელად გამოაცხადოს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# მორაგბეებმა ნახევარფინალისტები გაარკვიეს

**ლოკომოტივი — არმია 9:11**

**ლოკომოტივი:** კობერიძე, კავთიძე, ხუციშვილი (ბერძენიშვილი 55), ხაჩირაშვილი, ჟამუტაშვილი (ქავთარაძე 66), კვინიხიძე, ღვინჯილია; ელოშვილი, გენებაშვილი (ზარიძე 5), ვეფხვაძე, ოზგებაშვილი, გუჯარაიძე, ბერიშვილი, ჩიტიძე (გუნიავა 75), ნიშნიანიძე

**2 ჯარიმა:** კვინიხიძე

**1 არეკნი:** კვინიხიძე

**არმია:** ბ.კობახიძე (ნუცუბიძე 41), ელიზბარაშვილი, მჭედლიძე, ნადარეიშვილი, ხარაზიშვილი, ბაირამაშვილი, სამხარაძე (ზაბახიძე 80); ქოიავა (გ.კაკოვინი 70), ნატრიაშვილი, შენგელია, ჟღენტი, ცხადაძე (კ.კობახიძე 62), კალმახელიძე, დარასელია (კიკვიძე 62), ბრეგვაძე

შეხვედრა „არმიელთა" შეტევებით დაიწყო, მაგრამ კობახიძე გვერდით ხაზს იქით გადაიყვანეს, შემდეგ ბაირამაშვილმა დაახლოებით 40 მეტრიდან არეკნით სცადა გატანა — უშედეგოდ. მალევე, არეკნი უკვე ლოკომოტიველმა კვინიხიძემ დაჰკრა და ანგარიშიც გახსნა.

მე-14 წუთზე, კვინიხიძემ თავისი გუნდის უპირატესობა გაზარდა, მეტოქე რაქში დაჯარიმდა და ბობამაც დაახლოებით 25 მეტრიდან გაიტანა. ხუთიოდე წუთში, ჯარიმის შესრულების უფლება „არმიამ" მიიღო და კობახიძემ კარის გასწვრივ 40 მეტრიდან გაიტანა. მალე „ლოკომოტივმა" შეცდომა დაუშვა, შერკინებიდან ბურთი ხეირიანად ვერ გაიტანა, მჭედლიძემ მას ფეხი წაკრა და მიჰყვა, მაგრამ ვერ აიღო, ახლა ნადარეიშვილმა ითამაშა ფეხით, თუმცა, მასაც მცველებმა დაასწრეს და „არმიამ" შედეგად შერკინება მიიღო, რომელსაც ჯარიმა მოჰყვა, კობახიძეს კარის გასწვრივ ათიოდე მეტრიდან ანგარიშის გაათანაბრება არ გასჭირვებია.

სალელოვე შანსი „ლოკომოტივსაც" მიეცა. მათ მეტოქის 22-მდე ისე მიაღწიეს, რომ ბურთი არ დაკარგეს, მაგრამ ბოლო გადაცემა ბერიშვილმა ვერ მიიღო, არადა, მის წინ თავისუფალი სივრცე იყო. სამაგიეროდ, ტაიმის მიწურულს უშეცდომოდ „არმიამ" ითამაშა. მისი იერიში კვლავ მეტოქის შეცდომას მოჰყვა — „ლოკომოტივმა" ბურთი საკუთარ 22-ში დაკარგა, არმიელებმა ის მარცხნივ ჩაათამაშეს, ხარაზიშვილმა ცუდი გადაცემა გააკეთა და თითქოს სიმწვავე დაიკარგა, მაგრამ კობახიძემ ბოლომდე იბრძოლა და ბურთი შეინარჩუნა, სამხარაძემ რაქიდან გამოიტანა, ბრეგვაძეს მეტოქისთვის დაფარულად გადააწოდა და ამ უკანასკნელმაც დაცვის ხაზი იოლად გაჭრა — 6:11. კობახიძეს იოლად გასატანი რეალიზაცია გაუფუჭდა და ტაიმიც ასე დასრულდა.

მეორე ნახევარში მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. „ლოკომოტივმა" მეტოქე ფიზიკურად დაჯაბნა და „არმიას" მოწინააღმდეგის იერიშების შეჩერება დიდ ენერგიად უჯდებოდა, მაგრამ ჩემპიონი კვლავ თავისი შეცდომების გამო ვერ ხეირობდა. 55-ე წუთზე, რკინიგზელები თავიანთი შეტევისას დაჯარიმდნენ, მაგრამ ბაირამაშვილს 45 მეტრიდან დარტყმული გაუფუჭდა, ნელ-ნელა სიტუაცია დაიძაბა და რამდენჯერმე მოედანზე ჩხუბიც ატყდა. 67-ე წუთი მიდიოდა, როდესაც „ლოკომოტივმა" ძალისმიერი უპირატესობა ქულებში გარდასახა. მათ აუტი მოიგეს, მოლით კარგად მიაწვნენ და ათიოდე მეტრი წაიწიეს, ამას არმიელების დაჯარიმება მოჰყვა და კვინიხიძემ ახლოდან ჯარიმა გაიტანა. სხვაობა სარაგბო საზომებით მინიმუმამდე დავიდა და „ლოკომოტივის" მორაგბეებმა კიდევ უფრო მოინდომეს. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ბოლოს კვლავ გუნდური ჩხუბი ატყდა, ამჯერად, რეფერიმ ორივე გუნდის თითოთითო მორაგბე გაასინბინა. „ლოკომოტივი" მეტოქეს ცენტრის სიახლოვეს შერკინებით მიაწვა, მაგრამ მერე ბურთი დაკარგა და გამარჯვება „არმიას" დარჩა.

დაძაბული გამოდგა თბილისში გამართული მეორე შეხვედრაც. „ყოჩები" „შევარდენის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე „აკადემიას" დაუპირისპირდა. აკადემიელებმა პირველი ტაიმი 9:3 მოიგეს, მაგრამ მეორე ნახევარში უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და თამაში ფრედ 9:9 დასრულდა. აქ უკვე საქართველოს თასის გათამაშების დებულება ამოქმედდა. რადგან ლელო არც ერთ გუნდს არ გაუტანია და მსაჯს წითელიყვითელი ბარათით არავინ არ დაუსჯია, ნახევარფინალში თამაშის უფლება რეიტინგით უკეთესმა გუნდმა მიიღო, ეს კი „ყოჩებია".

ქუთაისის „აია" ვანში რუსთავის „ხარებს" დაუხვდა და 50:0 გაანადგურა.

კიდევ ერთ მეოთხედფინალში, საქართველოს თასის მფლობელ თბილისის „ლელოს" „არმაზის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ ამ უკანასკნელმა თასის გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვა და „ლელო" ნახევარფინალში უბრძოლველად გავიდა.

ნახევარფინალური ეტაპი უკვე ორმატჩიანია. პირველი შეხვედრები 25 ივნისს გაიმართება — „აია" „არმიას" უმასპინძლებს, ხოლო „ყოჩები" „ლელოს" ეთამაშება.

განმეორებითი შეხვედრები 2 ივლისაა დანიშნული და სწორედ მაშინ გამოვლინდება ის ორი გუნდი, რომლებიც ფინალში 9 ივლისს ითამაშებენ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი

### 4 აპრილისთვის



წლის 94-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 271 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

დიდმარხვის V შვიდეული. ოთხშაბათი

ხსენება წმიდა მღვდელმოწამე ბასილი ანკვირიის ეკლესიის ხუცესისა (362-363); წმიდა მოწამე დროსიდასი — ტრაიანე მეფის ასულისა (I-II); ღირსი ისააკ მონაზონისა (IV).

მღვდელმოწამე ბასილი გალატიის ქალაქ ანკვირის ეკლესიის ხუცესი იყო. ფართოდ გავრცელებული არიანული მწვალებლობის დროს იგი მოუწოდებდა თავის სამწყსოს მტკიცედ დაეცვათ მართლმადიდებლური რწმენა. ამისთვის ადგილობრივმა არიანულმა კრებამ მას ჩამოართვა სამღვდელო ღირსება. ის მაინც აგრძელებდა დაუფარავად ქადაგებას, ამის გამო შეიპყრეს და განიკითხეს, როგორც სახელმწიფოსთვის საშიში კაცი. ღირსი ბასილი მრავალგზის ტანჯეს, მაგრამ ვერ შეარყიეს მისი რწმენა.

წმიდა ქალწულმოწამე დროსიდა ასული იყო იმპერატორ ტრაიანესი, ქრისტიანთა სასტიკი მდევნელისა. 99 წელს ტრაიანემ აღადგინა ძველი კანონი, რომელიც კრძალავდა საიდუმლო საზოგადოებების არსებობას და არაპირდაპირ ქრისტიანებსაც ეხებოდა. 104 წელს კი თვით ქრისტიანთა წინააღმდეგ გამოსცა სპეციალური კანონი.

აქედან მოყოლებული დაიწყო ქრისტიანთა დევნა. ამ ხანებში წამებულ ქრისტიანთა სხეულებს ხშირად ღია ცის ქვეშ ტოვებდნენ დაუმარხავად. ექვსმა ქალწულმა დროსიდამ, აგლაიამ, აპოლინარიამ, დარიამ, მამთუსამ და ტაისიამ დახოცილ ქრისტიანთა დაკრძალვა დაიწყეს. ამის გამო ისინი იმპერატორის ბრძანებით შეიპყრეს და სასტიკად აწამეს. ტრაიანესმა საკუთარი ასულიც არ დაინდო და მძიმე სატანჯველს სწია.

**დაიბადნენ:**

1818 — ტომას მაინ რიდი, ცნობილი ამერიკელი რომანისტი. გარდაიცვალა 1883 წელს.

1899 — დავით ბადრიძე, მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1984 წელს.

1906 — დიმიტრი ღოღობერიძე, ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1953 წელს.

1907 — ილიკო სუხიშვილი, ქართული ხალხური ცეკვის დიდოსტატი. გარდაიცვალა 1985 წელს.

1932 — ანდრეი ტარკოვსკი, დიდი რუსი კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1986 წელს.

1945 — ალექსანდრე ჟღენტი, კინორეჟისორი.

1958 — დავით ჯანელიძე, კინორეჟისორი.

**გარდაიცვალნენ:**

1765 — მიხაილ ლომონოსოვი, დიდი რუსი ქიმიკოსი, ფიზიკოსი და ასტრონომი.

1774 — ოლივერ გოლდსმიტი, ინგლისელი მწერალი.

1841 — უილიამ ჰარისონი, აშშ-ს მე-9 პრეზიდენტი.

1968 — მარტინ ლუთერ კინგი, ღვთისმსახური და ამერიკაში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის ლიდერი.

**მოვლენები:**

1850 — ლოს-ანჟელესმა ქალაქის სტატუსი მიიღო.

1949 — ვაშინგტონში ხელი მოეწერა ჩრდილოატლანტიკურ თავდაცვით პაქტს შეიქმნა ნატოს ორგანიზაცია.

1983 — გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი სპეის ჩელენჯერ-1“.

**მედიანიუსი**

# ვაჟას ლექსზე სიმღერის კონკურსი გამოცხადდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მინისტრის მოადგილემ მაკო ჭოლოშვილმა და ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორმა მარინა ბერიძემ ჟურნალისტებს იმ კონკურსის პირობები გააცნეს, რომელიც ვაჟა-ფშაველას ლექსზე სიმღერის შექმნას ითვალისწინებს.

პროექტის პრეზენტაციაზე მიწვეულნი იყვნენ ნიაზ დიასამიძე, დავით მალაზონია, ნიკა მაჩაიძე, ზვიად ბოლქვაძე, ზურა ნადარეიშვილი, ანუკა კახიძე, ლილიკო ნემსაძე, რუსა მორჩილაძე, ნინო ჩხიკვაძე, ანუკი ცქვიტინიძე, ლექსო ქავთარაძე (ლექსენი), დათო არჩვაძე, ნიკა მემანიშვილი, ქეთი გაბისიანი, აჩიკო გულედანი, ირაკლი ნადარეიშვილი, ვახო ბაბუნაშვილი, ბექა ჯაფარიძე, მიშა მდინარაძე, ნიკოლშოუ, გიგი დედალამაზიშვილი, გიგი გეგელაშვილი, ნიკა წერეთელი, გიგა კუხინიძე, არჩილ გიორგობიანი, ზაზა კორინთელი (ზუმბა), ჯგუფი „ფრანი“, მამუკა ბეგაშვილი, კახა ცაბაძე, დათო ევგენიძე, ვატო კახიძე, ნანა კალანდაძე, ანუშკა ქასრაშვილი, მამუკა მეგრელიშვილი, ნათია ზეინკლიშვილი.

2011 წელს იუნესკომ ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლის იუბილე საერთაშორისო მნიშვნელობის საიუბილეო თარიღების ნუსხაში შეიტანა. როგორც პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, ამა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცემა რჩეული ნაწარმოებების სამტომეული (პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა). იუნესკოსთან ერთად მზადდება გამოსაცემად კატალოგი „ვაჟა-ფშაველა 150“.

ამ სიახლეებთან ერთად მაკო ჭოლოშვილმა და მარინა ბერიძემ შეკრებილ საზოგადოებას ისიც აცნეს, რომ სამინისტროს ინიციატივით გამოცხადდა კონკურსი „საუკეთესო სიმღერა ვაჟა-ფშაველას ლექსზე“. მათი თქმით, კონკურსის მიზანია საკომპოზიტორო შემოქმედების სტიმულირება, მისი აქტივიზირება და საუკეთესო ნიმუშის წარმოჩენა. ასევე საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება ვაჟა-ფშაველას პოეზიის მიმართ.



— ჩვენ მიერ გამოცხადებული კონკურსის ამოცანაა ქართული მუსიკის პრესტიჟის ამაღლება, მისი ესთეტიკური ღირებულებების გაზრდა და სოციალური მნიშვნელობის გაფართოება. ქართული მუსიკის საუკეთესო ნიმუშების გამოვლენა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის პოპულარიზაცია. ასევე პროფესიული მუსიკისადმი მსმენელთა ყურადღების გამახვილება, ახალგაზრდა თაობაში მისადმი ინტერესის გაღვივება. ჩვენ არც ის გვავიწყდება, რომ საჭიროა ნიჭიერ ხელოვანთა დაფასება და მათ მიერ ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილის სახალხო აღიარება, — აღნიშნა კულტურის მინისტრის მოადგილემ მაკო ჭოლოშვილმა.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, კონკურსს აქვს თავისი პირობები, რომელიც ყველა მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს: კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა კომპოზიტორს და სიმღერის ავტორს. კონკურსისთვის დაწესებული პრემია გაიცემა კონკურსის საფუძველზე. საკონკურსო ნაწარმოები არ უნდა იყოს შესრულებული და გამოცემული. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონკურსი დახურულია. ავტორის ვინაობა აღნიშნული იქნება ცალკე, დახურულ კონვერტში, რომელიც გაიხსნება მხოლოდ პრემიის გაცემის შემთხვევაში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი დაინტერესებული პირებისთვის ის არის, რომ კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნას ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოები — კლასიკური, საესტრადო, ეთნო და ა.შ. კონკურსი ჩატარდება ორ ტურად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. პირველი ტურის შედეგად ჟიურის მიერ შეირჩევა საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც ავტომატურად მოხვდებიან მეორე ტურში. მეორე ტურში ფარული კენჭისყრის საფუძველზე ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს.

რაც შეეხება კონკურსის ჟიურის, უკვე გადაწყვეტილია, რომ კონკურსის ჟიურის წევრებად მიწვეული იქნებიან ცნობილი ქართველი კომპოზიტორები, შემსრულებლები, მუსიკათმცოდნეები. ჟიურის წევრებს არ აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

ვაჟა-ფშაველას ლექსზე შექმნილი საუკეთესო სიმღერის ავტორის(ებ)თვის პრემია განსაზღვრულია 3.000 ლარის ოდენობით თითოეულ გამარჯვებულზე. საკონკურსო ნაწარმოების გამოგზავნის ვადა პირველ ივნისს ამოიწურება. რაც შეეხება გამარჯვებულთა გამოვლენას, ისინი ივნისის ბოლოს დასახელდებიან. საუკეთესო სიმღერები კი ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე შესრულდება.

**მაკო ჭოლოშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე:**

— ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ იუნესკომ 2011 წელი ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვაჟას წლად გამოაცხადა. საქართველოს კულტურის სამინისტრო იუნესკოსთან ერთად რამდენიმე ახალ პროექტს ახორციელებს. ჩვენ ვაპირებთ, მოვაწყობთ ვაჟა-ფშაველას ფოტოალბომის გამოფენა, ხოლო ლიტერატურულ ინსტიტუტთან უკვე ვთანამშრომლობთ და ვაჟას შემოქმედების მოყვარულებს შევთავაზებთ სამტომეულს, რომელშიც შევა მისი პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა და ბევრი ისეთი რამ, რაც მკითხველისთვის ცნობილი არ არის. ახლა კი ჩვენ გამოვცხადეთ კონკურსი „საუკეთესო სიმღერა ვაჟა-ფშაველას ლექსზე“, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

**მარინა ბერიძე, ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:**

— ჩვენ უკვე ოფიციალურად გამოვაცხადეთ კონკურსი „საუკეთესო სიმღერა ვაჟა-ფშაველას ლექსზე“, რომელშიც მონაწილეობის მიღების უფლება ყველა მსურველს აქვს. არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება პროფესიონალი კომპოზიტორი, თუ უბრალოდ სიმღერის ავტორი.

*— რა არის ამ კონკურსის მიზანი?*

— პირველ რიგში ის, რომ ვაჟას შემოქმედება კიდევ უფრო პოპულარული და ცნობადი გახდეს, მეორე რიგში კი ის, რომ ვაჟას შემოქმედება კომპოზიტორებისთვის შთაგონების წყარო გახდეს და შეიქმნას კიდევ რამდენიმე ახალი, კარგი და საინტერესო ქართული სიმღერა.

*— რა ვადაში უნდა წარადგინონ მსურველებმა ნაწარმოები?*

— მათ საკმარისი ვადა აქვს. ორი თვის ვადაში ნებისმიერმა მსურველმა უნდა მოგვაწოდოს თავისი ნაწარმოები, რომელიც სპეციალურად ამ კონკურსისთვის იქნება შექმნილი და არც გაჟღერებული იქნება. თან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაჟას შემოქმედება თავისებურია და მთის კილო სხვანაირ მოპყრობას საჭიროებს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ ამ კონკურსის პირობების თანახმად, სასიმღერო ჟანრი აბსოლუტურად თავისუფალია, რაც ნებისმერი შემოქმედისთვის კიდევ ერთი დიდი პლუსია, ისინი არანაირ ჩარჩოში არ არიან ჩასუმლი და მეტი შემოქმედებითი თავისუფლება აქვთ. ასე რომ, ამ კონკურსის წყალობით, ბევრ მრავალფეროვან და საინტერესო ნაწარმოებების შექმნას ველოდებით.

# ისტორიის მუზეუმი პერსონალურ გამოფენებს მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

თბილისის ისტორიის მუზეუმი ორი ხელოვანის პერსონალურ გამოფენას სხვადასხვა საგამოფენო დარბაზებში მასპინძლობს. ლადო ასათიანი თავის ფერწერულ ტილოებს გამოფენს, ხოლო გიორგი ჩალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა კი საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართება.

პროფესიონალი მხატვარი და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ლადო ასათიანი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი, ფილოსოფოსი და პედაგოგია. 1978 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, კითხულობს ლექციებს, გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი შრომები, რომელთა შორისაა: „ლადო გუდიაშვილის შემოქმედების ფოლკლორული ასპექტი“, „მხატვრული კულტურა და ხელოვნების ზოგადთეორიული კვლევა“, ასევე არის მაგისტრატურის სასწავლო პროგრამების ავტორი, მუშაობდა გემოვნების, როგორც მხატვრული ცოდნის სპეციფიკის, საფუძვლებზე. გამოფენა ლადო ასათიანის ფერწერის მრავალმხრივი სივრცის წარმოჩენას ემსახურება, ძალდაუტანებლად და იოლად აკავშირებს ერთმანეთთან მხატვრისა და მეცნიერის შინაგან განწყობას. ერთ სისტემაში მოქცეული და მხატვრობაში გამჟღავნებული ნააზრევი, მხატვრული ესთეტიკის სირთულე და სინამდვილე, ეს ახალი ურთიერთკავშირი მხატვრის პიროვნებისა და მეცნიერის ნაღვაწის ერთ მთლიან შემოქმედებას წარმოადგენს, სადაც ფართო საზოგადოება გაიაზრებს, თუ რას ნიშნავს მხატვრობა ლადო ასათიანისთვის, როგორ ხდება გემოვნებისა და ფილოსოფიის საკითხების განზოგადება მხატვრობაში, სად იწყება, ან სად მთავრდება ზღვარი თეორიასა და პრაქტიკულ შემოქმედებას შორის.

იუბილარი მხატვარი გიორგი ჩალაძე კი ქართველ მხატვართა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელიც უამრავი ეპოქალური ცვლილების მოწმე გახდა და ამავე დროს, მოახერხა შეენარჩუნებინა ლირიზმი, რომანტიკული განწყობა და ერთგულება ეროვნული მოტივების მიმართ საკუთარ შემოქმედებაში. იგი საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ფაზისის აკადემიკოსი, ქალაქ რუსთავის სამხატვრო სკოლის მხატვართა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე იყო. გიორგი ჩალაძე მუშაობდა საბერძნეთშიც, სადაც გააფორმა სპექტაკლი. მის მიერ შესრულებული ქანდაკებები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, უკრაინასა და რუსეთში დგას. ნამუშევრები ინახება სამხატვრო ფონდებში, მუზეუმებში და კერძო კოლექციებში. სკულპტურული ნამუშევრები, „მამაკაცის პორტრეტი“, „ვაჟა-ფშაველა“, ფერწერული ტილოები „ფიროსმანი“, „საღამოს პეიზაჟი“, „პროტესტანტი“ სხვადასხვა დროსაა შექმნილი, მაგრამ ყოველ მათგანში შეიძლება ამოვიკითხოთ ქართული ეროვნული მოტივების მიმართ ავტორის დამოკიდებულება.

# ჩრდილოეთ ოსეთში დედა და ორი მცირეწლოვანი შვილი დახოცეს

ჩრდილოეთ ოსეთში დედა და ორი მცირეწლოვანი შვილი მოკლეს.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, ცხედრები ერთ-ერთ სახლში აღმოაჩინეს. გარდაცვლილებს ჭრილობები დანით აქვთ მიყენებული.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის პრესსამსახურის ხელმძღვანელ ედუარდ გუსოვის ინფორმაციით, მოკლული ბავშვებიდან ერთი 2008 წელს, მეორე კი 2010 წელსაა დაბადებული.

— დანაშაულში ეჭვმიტანილია ბავშვების მამა, რომელიც სამართალდამცავებმა უკვე დააკავეს, — აღნიშნა გუსოვმა.

მომხდარის შესახებ დეტალები დგინდება. შემთხვევის ადგილზე ოპერატიული საგამოძიებო ჯგუფი მუშაობს.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისში უცნობი ქართველი წმინდანების ხატი აღმოაჩინეს

თბილისში წმინდა ნიკოლოზის ტაძარში უცნობი ქართველი წმინდანების ხატი აღმოაჩინეს.

ლაპარაკია ჩუღურეთის რაიონში, ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ტაძარზე, სადაც ხატები სატრაპეზოს დასუფთავების დროს იპოვეს. როგორც „მედიანიუსს“ ღვთისმშობლის ყაზანის ხატის ტაძრის მღვდელმსახურმა დავით გოცირიძემ განუცხადა, აღმოჩენილია ორი ქართველი მღვდელმთავრის წმიდა ხატი, რომელთა სახელები არ იკითხება.

— მხატვრობა შესრულებულია გრაფიკაში. წმინდანები შემოსილნი არიან ქართული საეკლესიო შესამოსელით. ხატისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ წინ ქართული ხუთჯვრიანი დროშაა გადმოშლილი, ხოლო მათ თავზე ანგელოზთა ფრთები მიინიშნება. ასეთი ფორმის ხატი არასოდეს შემხვედრია. ეს ეროვნული ქართული ხატი გამოკვლევას საჭიროებს, — აღნიშნა მღვდელმსახურმა დავით გოცირიძემ.

**მედიანიუსი**

# ზაალ სულაკაურმა უცნობი ნახატები გამოფინა

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ქართველმა მხატვარმა და კარიკატურისტმა ზაალ სულაკაურმა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებლისთვის აქამდე უცნობი ნახატები გამოფინა. თუმცა, საგამოფენო დარბაზში მისულ დამთვალიერებელს ზალიკოს ნამუშევრებთან ერთად მისი სამხატვრო სტუდიის მოსწავლეთა და პედაგოგთა ნახატების გაცნობაც მოუხდათ.

ნამუშევრები ხატვის, ძერწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების მოსწავლეებმა წარმოადგინეს. ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია უკვე 6 წელია პირველ აპრილს ტრადიციულ გამოფენას აწყობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ღონისძიება ყოველთვის პირველ აპრილს იმართება, ის სულაც არ არის საპირველაპრილო ხუმრობა და ყველაფერი სერიოზულობის ჩარჩოებში ჯდება.

— მიუხედავად იმისა, რომ უკვე 6 წელია პირველ აპრილს ჩვენი სამხატვრო სტუდიის მოსწავლეთა და პედაგოგთა ნამუშევრების გამოფენას ვაწყობთ, ეს სულაც არ არის ამ დღისთვის დამახასიათებელი ხუმრობა და ტყუილი. ეს არის ჩვენი სტუდიის ერთგვარი ანგარიში, რომელსაც ფართო საზოგადოებას ვაცნობთ, — განაცხადა ზაალ სულაკაურმა.

ტრადიციად ქცეული გამოფენის გახსნის შემდეგ მასში მონაწილე პედაგოგები და მათი მოსწავლეები ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდიისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისგან გამოფენაში მონაწილეობის დამადასტურებელი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

# ირმა გიგანი ისრაელში მიდის

ეკა ირემაშვილი

ვირტუოზი პიანისტი 14 წლის ირმა გიგანი უახლოეს მომავალში საგასტროლო ტურნეს იწყებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ქართველი ხელოვანი კონცერტებს ისრაელში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ავსტრიაში გამართავს.



საზღვარგარეთ გამგზავრებამდე კი ირმა გიგანმა ქართველი მსმენელისთვის დაუკრა და საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში სოლოკონცერტი გამართა. ორგანყოფილებიანი საღამოს პროგრამაში შოპენის, ლისტის, რახმანინოვისა და მოცარტის ნაწარმოებები გაერთიანდა. ვირტუოზი პიანისტის კონცერტის ორგანიზატორობა უშუალოდ საქართველოს ეროვნულმა მუსიკალურმა ცენტრმა ითავა.

ირმა გიგანი თავისი შესაძლებლობებიც ყველას აოცებს. იგი ახლახან ფრედერიკ შოპენის სახელობის პიანისტთა მეორე კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი გახდა. კონკურსი საქართველოში პოლონეთის საელჩოსა და „საქართველოს კონკურსების მუსიკალური ფონდის" ინიციატივით ჩატარდა და მასში 8 კონკურსანტმა მიიღო მონაწილეობა. პირველი ადგილის მინიჭების გარდა, 14 წლის ვირტუოზი პიანისტი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდა.

ირმა გიგანი არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა თუ კონკურსის გამარჯვებულია. იტალიის ქალაქი მინერბიოში გამართულ 8-13 წლის შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსზე ქართველი ვირტუოზი პიანისტი ლაურეატი და გრან-პრის მფლობელი გახდა. მან მონაწილეობა მიიღო საკონცერტო მარათონში „ნიჭიერი ბავშვები" და პირველ საერთაშორისო ფესტივალში „ხელოვნების ზეიმი". 2003 წლის თებერვალში ირმა გიგანმა სოლო კონცერტი გამართა თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. შემსრულებელთა მესამე რესპუბლიკურ კონკურსზე, ასაკის გამო, მან კონკურსგარეშე მიიღო მონაწილეობა და საქართველოში აშშ-ის საელჩო სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. მოსკოვში საქართველოს საელჩოში ირმას სოლოკონცერტი გაიმართა. ყველა ღონისძიებაზე, სადაც 14 წლის ვირტუოზი უკრავს, საზოგადოება აღფრთოვანებული რჩება. მისი პედაგოგი პროფესორი თენგიზ ამირეჯიბია.

გასულ წელს ამერიკაში, ბროდვეიზე ნიუ იორკში ირმაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრემიერა გაიმართა. ფილმის რეჟისორი სანდრო ვახტანგოვია, რომელსაც ანალოგიური სურათები ლიანა ისაკაძეზე, ალექსანდრე კორსანტიასა და სხვა ცნობილ ქართველ მუსიკოსებზეც აქვს გადაღებული. დოკუმენტურ ფილმში შესულია ყველა ის კონცერტი, გამოსვლა და მასტერ-კლასი, რომელიც ირმა გიგანს 5 წლის ასაკიდან დღემდე საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაუმართავს. სანდრო ვახტანგოვის ფილმში მოხვდა აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის სექტემბერში დაბომბილ გორში გამართული ირმა გიგანის მშვიდობის მანიფესტიც.

ფრედერიკ შოპენის სახელობის პიანისტთა მეორე კონკურსის გამარჯვებული საქართველოში პოლონეთის საელჩოს მიწვევით ოქტომბერში ვარშავაშია მიწვეული, სადაც კონცერტს ჩაატარებს.

# გუჯა ბურდული 70 წლისაა

ეკა ირემაშვილი



მსახიობი გუჯა ბურდული 70 წლისაა. ეს იუბილე ხელოვანმა უახლოესი ადამიანების წრეში აღნიშნა და კინოს სახლში საიუბილეო საღამოც მოაწყო.

მსახიობის საიუბილეო-შემოქმედებით საღამოზე შეკრებულმა საზოგადოებამ ნანა ჯორჯაძისა და ირაკლი კვირიკაძის ფილმი „მოცურავე" იქნა წარმოდგენილი, რომელშიც იუბილარი მსახიობი მთავარ როლს არსულებს. მსახიობობის გარდა, გუჯა ბურდული ფართო საზოგადოებისთვის სიმღერების თავისებური შესრულებითაც არის ცნობილი.

გუჯა ბურდული ჟურნალისტებისთვის, როგორც სიტყვაძუნწი რესპონდენტი, ისეა ცნობილი. როგორც მისი მეუღლე, ქალბატონი ინესა აბესაძე აღნიშნავს: გუჯის არ უყვარს ლაპარაკი, ამიტომ მთელი ცხოვრება მის მაგივრად მე ვლაპარაკობო.

წელს „ნანუკას შოუმ" გუჯა ბურდულისა და ინესა აბესაძის წყვილი საუკეთესოდ დაასახელა და ლოპოტაში რომანტიკული დასვენებით დაასაჩუქრა. 70 წლის გუჯა ბურდული სამების საკათედრო ტაძარში სტიქაროსანია და მიანჩია, რომ ღვთის მადლისა და წყალობის გარეშე ამქვეყნად არაფერი ხდება.

იუბილარი მსახიობი 70 წელს არ უშინდება და განვლილი ცხოვრებითაც ბედნიერია. მისი ყველაზე დიდი სიხარული და სიამაყე პატარა გუჯა ბურდულია, რომელიც ბაკურ ბაკურაძის ვაჟია და სულ რამდენიმე თვის არის.

გუჯა ბურდულს ამჯერად მისი ქალიშვილი მაკა ბურდული იღებს თავის ახალ ფილმში, რომელიც ქართველი წმინდანის გრიგოლ ფერაძის ცხოვრებას შეეხება. იუბილარი მსახიობი ქალიშვილის ახალ ფილმში მთავარ როლს — გრიგოლ ფერაძის როლს ასრულებს.

გუჯა ბურდულის იუბილეზე ნანა ჯორჯაძისა და ირაკლი კვირიკაძის ფილმის გარდა, „კინოს სახლში" მსახიობის ქალიშვილმა რეჟისორმა მაკა ბურდულმა საზოგადოებას ახალი კლიპი წარუდგინა, რომელიც იუბილარ მამას მიუძღვნა.

# ხელოვნებაში ახალი თანამშრომლობა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმმა შოტლანდიის ოპერის, ბრიტანეთის საბჭოს, თბილისის ოპერის თეატრისა და ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ერთობლივ პროექტს უმასპინძლა.

„ახალი თანამშრომლობა ხელოვნებაში" — ასე უწოდეს პროექტს მისმა ორგანიზატორებმა, რომელიც 28 მარტს დაიწყო და პირველ აპრილს დასრულდა. პროექტის ფარგლებში შოტლანდიური ოპერის გუნდმა მუსიკის სწავლების თანამედროვე მეთოდები გააცნო საშუალო სკოლის მუსიკის 10 მასწავლებელს, რომელთა შორის იყვნენ იძულებით გადაადგილებული მასწავლებლები აფხაზეთიდან და თბილისის ოპერის თეატრის 10 წარმომადგენელი.

ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლის, მაია დარჩიას თქმით, უორქშოფის მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ გაეცნოთ პროექტის მონაწილეებს სწავლების მეთოდოლოგიაში და კრეატიულობაში არსებული ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს მათ უორკშოფის განმავლობაში შეძენილი ცოდნა მომავალში გაუზიარონ თავიანთ კოლეგებს.

კლასიკური ხვეულები არის ბრიტანეთის საბჭოს პროექტი, რომელიც ხორციელდება შოტლანდიის ოპერასთან და თბილისის ოპერასთან პარტნიორობით. პროექტის მიზანია:განავითარონ მასწავლებლების და ხელოვანების წარმოდგენა იმის შესახებ თუ როგორ შეუძლია საშემსრულებლო ხელოვნებას გააფართოვოს ბავშვის სწავლის უნარები კურიკულუმით გათვალისწინებულ მრავალ საგანში, ხელოვანებს და მასწავლებლებს მისცეს შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი, როგორც სპეციალისტების, უნარები — იმუშაონ ერთობლივად რათა გაიღრმავონ ბავშვებისთვის მუსიკის სწავლების მეთოდების ცოდნა, გაზარდოს ოპერის, როგორც სინთეზური ხელოვნების, ავტორიტეტი ფართო საზოგადოებაში, გააცნონ ახალი ტექნოლოგიების, როგორც ინოვაციური მხატვრული ინტერპრეტაციის გადმოცემის საშუალებების გამოყენების მეთოდები.

— სიმბოლურია ის ფაქტი, რომ უორქშოფი ჩატარდა ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში, ვინაიდან წელს სრულდება ქართული მუსიკის ამ კლასიკოსის დაბადების 140 წელი და ჩვენ სრულიად შეგნებულად გადავწყვიტეთ, რომ ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი ყველა თვალსაზრისით არის ადგილი, სადაც მსგავსი უორქშოფი უნდა გაიმართოს, — განაცხადა ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენლმა ზურაბ ოიკაშვილმა.

უორკშოფის მეორე ეტაპი გაიმართება გლაზგოში, შოტლანდიაში, სადაც გაგრძელდება მუშაობა ქართული გუნდის პროფესიული განვითარების კუთხით. შოტლანდიური ოპერის მეთოდოლოგია, რომელიც წარმატებულად იქნა პილოტირებული შოტლანდიაში და რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ევროპაში ხელოვანთა და მასწავლებელთა გრძელვადიანი პროფესიული განვითარებაში კვლევის და ამ კვლევების შედეგების პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ძალიან ცნობილი და დაფასებულია ევროპაში. ამ სფეროში შოტლანდიური ოპერის მიერ განხორციელებული სამუშაოს შედეგად, ამჟამინდელი პროექტი წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს დაინტერესებულ მხარეთა მიღწევების დონის ამაღლების მხრივ. დაინტერესებული მხარე კი გულისხმობს მასწავლებლებს, ხელოვანებს, და განსაკუთრებით, ბავშვებსა და ახალგაზრდებს.

— ბრიტანეთის საბჭო მიესალმება იმ ფაქტს რომ საფუძველი ჩაუყარა გრძელვადიან თანამშრომლობას თბილისის და გლაზგოს ოპერებს შორის, რომლის მიზანია, ერთის მხრივ ქართველ, მათ შორის დევნილ მუსიკის მასწავლებელთა გადამზადება და მეორეს მხრივ თბილისის ოპერის თანამშრომლებისა და საშუალო სკოლის პედაგოგების ერთიანი გუნდის საშუალებით, საოპერო ხელოვნების პოპულარიზაცია მოზარდებში. შოტლანდიური ოპერის 30 წლიანი გამოცდილება ნათელი დასტურია იმისა, თუ რა დადებითი როლის შესრულება შეუძლია ასეთ საგანმანათლებლო პროგრამას საზოგადოებისთვის სასარგებლო, აქტიური, სრულყოფილი და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ შოტლანდიის ოპერაში 30 წლის წინ საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის უპირველესი მიზანი სწორედ საზოგადოების სოციალურად დაუცველი წევრების მხარდაჭერა იყო. პროექტით უკვე დაინტერესდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და გამოთქვა პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის სურვილი, — განაცხადა ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენელმა მაია დარჩიამ.

„კლასიკური ხვეულები" — არის ნაწილი ბრიტანეთის საბჭოს გლობალური პროგრამისა სახელწოდებით „ახალი თანამშრომლობა ახალი აუდიტორიისთვის", რომლის მიზანია ფართო აუდიტორიისთვის საუკეთესო ბრიტანული ხელოვნების ნიმუშების გაცნობა, კუტურული ცხოვრების გამდიდრება და ხელოვნების გამოყენება სხვა და სხვა კულტურებს შორის დიალოგისთვის, ვინაიდან სწორედ ხელოვნებაა კატალიზატორი საერთაშორისო დიალოგისა და ნდობის მისაღწევად. ამ პროექტით მის ავტორებს სურთ ახალ აუდიტორიას საქართველოში გააცნონ ინოვაციური ბრიტანული კინო, თეატრი და მუსიკა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

# იელის უნივერსიტეტი პერუს მაჩუ პიქჩუს არტეფაქტებს უბრუნებს

იელის უნივერსიტეტმა პერუს უძველესი ქალაქიდან მაჩუ პიქჩუდან გატანილი 45 ათასამდე არტეფაქტის დაბრუნება გადაწყვიტა. ამერიკელმა არქეოლოგმა ჰაირემ ბინგჰემმა ეს ნივთები პერუდან 1912 წელს გაიტანა.

ცოტა ხნის წინ პერუს დედაქალაქ ლიმაში ფასეულობების დაბრუნების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. სატვირთო ავტომობილების ქარავანი აეროპორტიდან პრეზიდენტის სასახლისაკენ გაემართა.

„ეს ნივთები ფასდაუდებელია. მიუხედავად იმისა, რომ ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონებისაგან არ არის დამზადებული, ისინი პერუს სიამაყესა და



ღირსებას განასახიერებს", — განაცხადა ცერემონიალის დროს პერუს პრეზიდენტმა ალან გარსიამ.

სააგენტო ფრანს პრესის ინფორმაციით, პირველ არტეფაქტებს შორის პერუში უძველესი ჩონჩხები და კერამიკის ნატეხები ჩაიტანეს. ახლო მომავალში ისტორიულ ფასეულობებს ლიმაში გამოფენენ, ხოლო შემდეგ კუსკოში გადაიტანენ, ინკების ისტორიულ დედაქალაქში. აქ ეს არტეფაქტები ახალი კულტურული ცენტრის ექსპოზიციაში დაიკავებს ადგილს.

2007 წელს იელის უნივერსიტეტმა პერუს მთავრობასთან მორიგება სცადა და ექსპონატების ნაწილის დაბრუნება შესთავაზა, მაგრამ ლიმა ნივთების რაოდენობამ არ დააკმაყოფილა.

2008 წელს პერუს ხელისუფლებმა იელის უნივერსიტეტს სასამართლოში უჩივლეს და თაღლითობის ბრალდებები წაუყენეს. მოგვიანებით ლიმამ ბრალდებების ნაწილი უკან წაიღო, თუმცა, კვლავინდებურად ამტკიცებდა, რომ ამერიკელებმა კულტურული ფასეულობები უნებართვოდ გაიტანეს.

პერუსთან მოლაპარაკება უნივერსიტეტმა მხოლოდ გასული წლის ნოემბერში შეძლო.

ანდებში მდებარე ქალაქი მაჩუ პიქჩუ პერუს მთავარ ტურისტულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. იგი პერუს ტერიტორიაზე XV საუკუნემდე არსებული ინკების იმპერიის უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

2007 წელს მაჩუ პიქჩუ მსოფლიოს „შვიდი ახალი საოცრებიდან" ერთ-ერთად აღიარეს.

# სიცილი უებარი წამალია

აშშ-ის კარდიოქირურგების საზოგადოების ინიციატივით ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად, სიცილი უნიკალური სამკურნალო საშუალება ყოფილა. იგი ხსნის სტრესსა და კუნთების დაძაბულობას, ზრდის იმუნიტეტს, კურნავს ჰიპერტონიას.

როგორც მეცნიერებმა გამოარკვიეს, სიცილის ყოველ „აფეთქებას" გულსისხლძარღვთა ჭარბი სტრესის მოხსნა შეუძლია, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ზრდის სისხლძარღვების ელასტიკურობას.

სიცილის „აფეთქების" ეფექტი 45 წუთს გრძელდება. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებების მთავარ მიზეზს სტრესი წარმოადგენს.

თავის მხრივ, სიცილი სტრესის ჰორმონის, კორტიზოლის შემცველობას ამცირებს და ენდორფინების რაოდენობას ზრდის. ამ ნივთიერებებს ტკივილის შემცირება და ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია.

გარდა ამისა, სიცილი ჭარბი წონის დაგდებისთვისაც არის სასარგებლო. სიცილის დროს 80-მდე ჯგუფის კუნთები ირთვება, თხუთმეტწუთიანი სიცილის დროს იწვის 50-მდე კალორია ენერგია, სუფთავდება ფილტვები, უმჯობესდება ჟანგბადით ქსოვილებისა და ორგანოების მომარაგება.

ადამიანის ორგანიზმზე სიცილის ზემოქმედებას მეცნიერება გელოტოლოგია იკვლევს. იგი ამერიკელმა ჟურნალისტმა ნორმან კაზინსმა დააარსა, მას შემდეგ, რაც საკუთარი თავი კომედიების ხანგრძლივი ყურებით განკურნა. ვისკონსინის უნივერსიტეტის მეცნიერების თქმით, ეს შედეგი სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ცნობილია, რომ სიცილი იმუნურ სისტემას აძლიერებს.



# 17 წლის მოსწავლემ საკუთარ დედას იარაღის მუქარით მანქანა აყიდვინა

ელიტური ამერიკული სკოლის 17 წლის მოსწავლე გოგონამ იარაღის მუქარით საკუთარი დედა აიძულა, მისთვის ძვირადღირებული სპორტული ავტომობილი ეყიდა.

იგი საკუთარი დედისაგან იარაღის მუქარით ძვირადღირებული ავტომობილის შესაძენად ფულის გამოძალვის გამო დააკავეს. სკოლიდან შინ დაბრუნებულმა ენ ჰეჩერომ დედას 9-მმ-იანი პისტოლეტი დაუმიზნა და კაბრიოლეტი „ნისან 350 ზეტის" ყიდვა მოსთხოვა.

ეს ინციდენტი ფლორიდის შტატში, ფორტ მაიერსში გასულ კვირას მოხდა. როგორც გაზეთი „ნეიფლს დეილი" ამბობს, კანტერბერის პრესტიჟული სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ დედას გამოუცხადა, რომ ავტომობილი სურდა.

იარაღის მუქარით მან მშობელი ავტოსალონში მიიყვანა. გარიგების გაფორმების დროს ჩანთაში ჩადებული „სიგ ზაუერი" დედაზე ჰქონდა დამიზნებული. მეორე დღეს, შვილის სკოლაში გასტუმრების შემდეგ, დედამ მის ოთახში იარაღი და ნარკოტიკები იპოვა და პოლიცია გამოიძახა.

ენ ჰეჩეროს დედა აცხადებს, რომ შვილისათვის ბრალდებების წაყენებას არ აპირებს. მიუხედავად ამისა, გოგონა სასამართლოს გადაწყვეტილებით მაინც დააკავეს. მას წაყენებული აქვს დამამძიმებელ გარემოებებში, იარაღის გამოყენებით თავდასხმისა და სრულწლოვანობამდე იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებები.

პისტოლეტი ამოღებულია. როგორც გაირკვა, იგი გასული წლის ზაფხულში ფლორიდაში პორტ ლი ქანთრის მცველს მოპარეს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ფრიდონ ლოლაძე, რუსუდან ბარათაშვილი, ნათია, ვახტანგ ლოლაძეები მწუხარებით იუწყებიან ბრწყინვალე პიროვნებისა და მამულიშვილის, საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრის, ბატონი

**ფარნაოზ ანანიაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

მეუღლე ლამარა მეიფარიანი, შვილი დათო ანანიაშვილი, რძალი მაია დევდარიანი, შვილიშვილები კუკა, თაკო ანანიაშვილები, რძალი ქეთი მიქელაძე, შვილთაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ფარნაოზ ანანიას ძე ანანიაშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 4 აპრილს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 5 აპრილს, 15 საათზე.

მისამართი: ირაკლი აბაშიძის 37, I სადარბაზო, IV სართული.

---

